ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 12 ნოემბერი, 2018 №268 (7813) ფასი: 60 თეთრი

ნიკო ფიროსმანის „ბატკანი“ დამიანე ალანიას ოჯახს დაუბრუნდება

მსჯავრდებულ მზია შალვაშვილს უდანაშაულობა დაუმტკიცდა გვ.6

„ბიძინა ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილის დანახვა აღარ უნდა“

გიგლა ბარამიძე: „ოცნებაში“ პრეზიდენტობის კანდიდატს მისის ნოუს ეძახიან“

გვ.2

„სალომემ ჟურნალისტებს უთხრა, ატოცში განცხადების გასაკეთებლად ჩამოვედიო. განცხადება გააკეთოს თავისთან სახლში, დენიკინის დროინდელ დაქალებთან ყავის სმისა და ვისკის წრუპვის დროს“

„ნაციონალები ხელისუფლებაში უკვე მოსული არიან“

„გამარჯვებული ვაშაძე უფრო თვითნებური იქნება, ვიდრე დამარცხებული“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „გული მწყდება, რომ „ოცნებამ“ ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი“

ზაზა სარალიძე: „პოლიცია კარვებში რაღაცის ჩადებას აპირებს“

გვ.3

სამართალი გვ.7

ჯონი გიგანი: „მანქანა ბადრი პატარკაციშვილის უსაფრთხოების უფროსმა ამიფეთქა“

რა მოხდა 15 წლის წინ

სომხეთში კანონიერი ქურდი მერაბ კალაშოვი დააკავეს

ბათუმში აჭარის სუს-ის უფროსის საცხოვრებელი ბინა გაქურდეს

შსს-მ სამეგრელოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

ეკონომიკა გვ.6

კობა გვენეტაძე: „სავალუტო რეზერვები არ არის ადეკვატური დონეზე“

ბიზნესიდან პოლიტიკაში — რა ქონებას ფლობს კიდევ ერთი მილიონერი დეპუტატი

2018 წლის ცხრა თვეში საქართველოდან ექსპორტზე 2.2 ტონა ოქრო გავიდა

ISSN 1987-9385

5 აშშ საქართველოს რეგიონების დეოკუპაციაში აქტიურდება

4 კახა კოქორიძე: „10 ნოემბერს სახელმწიფო ორგანო კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გავიდა“

5 გურამ ვახტანგაშვილი: „რუსები მავთულხლართებს იქ მცხოვრები ოსების შესაკავებლად ავლებენ“

4 ლია მუხაშავრია: „არ მესმის, რატომ ეშინიათ ნაციონალების დაბრუნების“

„ბიძინა ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილის დანახვა აღარ უნდა“

გიგლა ბარამიძე: „ოცნებაში“ პრეზიდენტობის კანდიდატს მისის ნოუს ეძახიან“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეცდომებს უშვებს ხელისუფლება, რატომ არის სალომე ზურაბიშვილი მმართველ პარტიაზე გაბრაზებული, რატომ აიჩემა ის ივანიშვილმა, რატომ არის „გირჩის“ გაშიშვლებაზე პასუხისმგებელი საზოგადოება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

– საოკუპაციო ხაზთან „გირჩის“ მიერ კოლექტიური ჩახდის აქციამ საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ, არიან ისეთებიც, ვისაც ეს აქცია მოეწონა. თქვენ რა შეფასებას მისცემთ „გირჩის“ პროტესტს?

– ბოლო დროს ამ სოფლის გარშემო განვითარებულ მოვლენებს ორი სიტყვით ასე შევაფასებდი – ატოცი და ჩვენი სიტუტუცე.

ქარელის რაიონის სოფელ ატოცის გარშემო უზარმაზარი პრობლემებია. კიდევ ერთხელ გამოჩნდა მოწინააღმდეგის მხარის დამოკიდებულება ჩვენს მიწებთან დაკავშირებით. ამ დროს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხმას საერთოდ არ იღებენ.

მათთვის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მნიშვნელოვანი არასდროს ყოფილა, ახლა ეს საკითხი საერთოდ აღარ აინტერესებთ. მთელი ძალები იქითკენ აქვთ მიმართული, რომ პრეზიდენტის დანიშვნით როგორმე გაიმყარონ უკვე მოფამფალებული სავარძელი.

„გირჩამდე“ ატოცში „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატიც იყო. სალომე ზურაბიშვილის ატოცში ჩასვლას სიტუტუცის აპოლოგეას დავარქმევთ. შე დალოცვილო, საოკუპაციო ხაზთან რომ მიდიხარ და საზღვარიო, გაიძახი, ე.ი. შენს ცნობიერებაში მართლა აქ გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. ამ განცხადების შემდეგ ამ ქალის დიპლომატობაზე საუბარი უნდა შეწყდეს.

მეორე სიტუტუცე მისი მხრიდან იყო ის კომენტარი, რაც ატოცში ჩასვლასთან დაკავშირებით გააკეთა. ჟურნალისტებს უთხრა, განცხადების გასაკეთებლად ჩამოვედიო. განცხადება გააკეთოს თავისთან სახლში, დენიკინის დროინდელ დაქალებთან ყავის სმისა და ვისკის წრუპვის დროს.

მესამე სიტუტუცე იყო ის, რომ ატოცში მაღალმთიანი რეგიონების პროგრამის განხორციელებაზე საუბრობდა. იქ მას ერთ-ერთი ძალის წარმომადგენლები დახვდნენ. მე მაინტერესებს, რატომ არ იყვნენ საოკუპაციო ხაზთან „ოცნების“ წევრები.

ახლა რაც შეეხება 10 ნოემბერს ერთი ორგანიზაციის მიერ მოწყობილ სიშიშვლის აქციას. მინდა ვკითხო ამ აქციის მონაწილეებს, ბატონებო, რომელი აპოლონები ხართ, რომ თქვენი სიშიშვლის ყურება სასიამოვნო იყოს?!

ჩემი აზრით, ამ სიშიშვლის აქციამ, რომელიც ყველანაირად მიუღებელია, კიდევ ერთხელ გამოაჩინა ჩვენი საზოგადოების ავადმყოფური დამოკიდებულება – ფეისბუქის ლომებმა ატეხეს კაკანი, დედა, დედა, ეს რა იკადრეს, ქართველობას არცხვენენო.

მინდა, მივმართო ფეისბუქის ლომებს – მდედრებსაც და მამრებსაც, ქართველობას „გირჩი“ კი არ არცხვენს, ქართველობას არცხვენთ თქვენ.

– „გირჩმა“ ჩაიხადა და საზოგადოება რატომ არცხვენს ქართველობას?

– ქართველმა საზოგადოებამ დაუშვა ის, რომ საქართველოში მსგავსი ორგანიზაციები იყოს. სამწუხაროდ, საქართველოში არის ხალხი, ვინც „გირჩს“ აძლევს ხმას.

საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიების 20% აქვს დაკარგული და ნახევარ მილიონამდე დევნილი ჰყავს დასაბრუნებელი საკუთარ სახლებში. საქართველო არის ქვეყანა, სადაც ჯერ ისევ მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, ვერ იცავს საზღვრებს და უზარმაზარი დემოგრაფიული პრობლემებია. ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს ისეთი ორგანიზაციის არსებობას, რომელიც ამ სიტუაციაში ახალგაზრდებს მოუწოდებს, ჯარში არ წახვიდეთო. „გირჩი“ სწორედ ასეთი მოწოდებებით გამოდის.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ასეთი ორგანიზაცია გაჩნდეს ისრაელში, რომელიც ახალგაზრდებს სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავის არიდებისკენ მოუწოდებს. საზოგადოება თავად გააქრობს ამ ორგანიზაციას. გააქრობს იმიტომ, რომ, ჩვენგან განსხვავებით, ებრაელები ცნობიერებაწარყვნილები არ არიან.

თავად „გირჩი“ საერთოდ არ მაინტერესებს, მათ თავიანთი საქმე აქვთ და იმას აკეთებენ. იმაზე ვდარდობ, რომ საზოგადოებაში აქვთ მას დასაყრდენი.

ამ სიშიშვლის აქციის გასამართლებლად ვიღაცამ წამოიკნავლა, ბრძოლის წინ შოტლანდიელებმაც აჩვენეს ინგლისელებს შიშველი უკანალებიო. ეს სცენა არის ფილმში „მამაცი გული“.

შოტლანდიელებსა და „გირჩებს“ შორის ერთი პატარა განსხვავებაა. შოტლანდიელები ინგლისელების დასანახავად, თავიანთ შოტლანდიურ კილტებს რომ აიწევენ, მერე 180 გრადუსით მოტრიალდებიან, შუბებით და მახვილით ეკვეთებიან მტერს.

ატოცთან კი რა მოხდა, სიშიშვლის დემონსტრირების შემდეგ, ჩასხდნენ მანქანებში, მოწიეს პლანი და კაფეში დასხდნენ ყავის დასალევად.

– „გირჩთა“ სიშიშვლის აქციაზე ერი კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, მაგრამ ეს ამბავი რუსთაველის გამზირზე მომხდარმა არეულობამ გადაფარა, სადაც შვილმკვდარი მამების მხარდასაჭერად მისულ არასამთავრობოს პოლიცია კარვებს არ აშლევინებდა. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

– მინდა, მივმართო სამტრედიელ-მილანელ თბილისის მერს, კარგია ფეისბუქ-ლაივები და პიჯაკების ცვლა, მაგრამ ხალხზე ეს აღარ მუშაობს და ვინმე ნორმალური მრჩეველი ნახე.

ამ ადამიანს აქვს უდიდესი ტრაგედია გადატანილი. წლების წინ მას ძმა ფულის გამოძალვის მიზნით მოსტაცეს და მოუკლეს. მაშინ მთელი საქართველო მისი ჭირისუფალი იყო. მახსოვს, ნაკრების თამაშზე, სტადიონზე როგორ ჩამოსდიოდა ცრემლები. მასთან ერთად ვტიროდით ყველა.

ამხელა ტრაგედია რომ აქვს კაცს გადატანილი, ერთხელ როგორ არ გაუჩნდა იმის სურვილი, მისულიყო რუსთაველზე და შვილმოკლული მშობლებისთვის სამძიმარი ეთქვა.

– იქ რომ მივიდეს, შეიძლება, „ოცნებაში“ სხვანაირად გაიგონ.

– ვის ეწყინება და ვის არა, ეს გვერდზე უნდა გადადოს და გამწარებულ მშობლებთან, როგორც კაცი, ისე მივიდეს. სხვა თუ არაფერი, ვეფხვისა და მოყმის ქვეყანა ვართ. როგორ დავიჯერო, რომ სამტრედიის სკოლებში ამ ლექსს არ ასწავლიდნენ.

– სამტრედიის სკოლებში ამ ლექსს როგორ არ ასწავლიდნენ, მაგრამ ფეხბურთით იყო გატაცებული და შეიძლება, არ ისწავლა.

– კარგი, სკოლაში არ ისწავლა, თბილისში ხომ დგას ვეფხვისა და მოყმის ძეგლი? როგორც თბილისის მერმა, ერთხელ მაინც არ იკითხა, რასთან იყო კავშირში ეს ძეგლი? წერილების წერასა და მერე თავის მართლებას რუსთაველზე მისვლა ბევრად სჯობია.

ნაციონალები რასაც წარმოადგენდნენ, ვინ მასწავლის, მაგრამ ისინი თვეების განმავლობაში იტანდნენ საკნების ქალაქს. ამათ რა სჭირთ ასეთი? ან რად უნდათ ისეთი ნაძვის ხე, რომელიც შვილებმოკლული მამების ცრემლზე დაიდგმება. ამ ხალხისთვის, დავიჯერო, ადამიანობა აღარ არსებობს?

მას თუ შვილმოკლულ მამებთან მისვლის ეშინია, თქვას და პირადად მე წავყვები მათთან. საჯაროდ ვაძლევ პირობას, რომ მილანში შეჭრილი თმიდან ერთი ღერი არ ჩამოუვარდება. ეპისტოლურ ურთიერთობას მამებთან დალაპარაკება სჯობია. დაელაპარაკოს იმათ და მერე გადაწყვიტოს, უნდა დაიდგას თუ არა იქ ნაძვის ხე.

ანდა ამ ძვირადღირებულ ნაძვის ხეს რომ დგამს მოშიმშილე თბილისში, რატომ არ იკითხა, უნდათ თბილისელებს ყოველ წელს ახალი ნაძვის ხე? შარშანდელი ნაძვის ხე არ ივარგებდა?

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ხელისუფლება ასეთ სულელურ ნაბიჯებს რომ დგამს, ვერ ხვდება, რომ ეს მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს?

– ამ მეორე ტურის წინ ორივე მხარე ზედმეტად ფაფხურობს, „ქართული ოცნება“ კი ამომრჩეველს პირდაპირ ატყუებს, როცა ეუბნება – ჩვენ თუ არ ვიქნებით, ნაცები მოვლენო. ნაცები როგორღა უნდა მოვიდნენ, როცა უკვე მოსული არიან.

მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე 600.000-ზე მეტი ხმა აიღეს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ „ოცნება“ პორტირებული ნაცებით არის სავსე. ოფიციალურად არიან ხელისუფლებაში და ხალხს რაღას ატყუებენ, მოვლენო. ამ ტყუილებს სჯობია, გამოვიდნენ და ღიად თქვან, რაშიც არის საქმე.

– რაშია საქმე?

– საქმე ის არის, რომ პრინციპულად უნდათ პრეზიდენტად სალომეს დანიშვნა და ნაცების მოსვლის გამო სულ არ დარდობენ, სააკაშვილის გარდა, ისედაც ყველა დაბრუნებულია. ჩვენ, „დემოკრატიული მოძრაობა“, ძალიან მალე შევქმნით მესამე ძალას და ხალხთან ერთად ორივე მხარეს მოვთხოვთ პასუხს.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ უშვებს არჩევნების წინ ხელისუფლება ასეთ შეცდომებს, დღეს „ქართული ოცნება“ ინსტინქტებით მუშაობს. მათი ყოველი ნაბიჯი შიშის ინსტინქტიდან გამომდინარეობს. ამიტომ მათ ქმედებებში ლოგიკას ნუ ვეძებთ.

რომელ ლოგიკაზეა საუბარი, როცა 6 წელია, ზღაპრებს გვიყვებიან, რომ ქვეყანაში არაფორმალური მმართველობა არ არსებობს და ამ დროს ივანიშვილი მთავრობას 22.00 საათამდე ყოველდღე თათბირებს უტარებს.

ამათი სიტუტუცის კიდევ ერთი აპოლოგია ისაა, რომ გამოდიან და გაიძახიან, სალომე დამოუკიდებელი კანდიდატიაო.

– სალომეს გაპრეზიდენტების აჩემება რაღაცით ხომ უნდა იყოს გამოწვეული?

– ხელისუფლებას ჰგონია, რომ პრეზიდენტი თუ მათი კანდიდატი გახდება, ის საერთაშორისო ასპარეზზე ყველაფერს „ოცნების“ სასარგებლოდ გაანეიტრალებს.

მნიშვნელობა არა აქვს, გახდება თუ არა ზურაბიშვილი პრეზიდენტი, ჩათვალეთ, რომ ხელისუფლება უკვე დამარცხებულია.

– რატომ არის „ოცნება“ უკვე დამარცხებული?

– იმიტომ, რომ ნაციონალები მონაგონი იქნება იმ დღიდან, როდესაც სალომეს პრეზიდენტად დანიშნავენ.

– დარწმუნებული ხართ, რომ გამოუვათ მისი გაპრეზიდენტება?

– ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ეს ქალი პრეზიდენტად გაიყვანონ. ამის შემდეგ სალომე „ქართულ ოცნებას“ საშინელ დღეში ჩააგდებს. ისეთ დღეში ჩააგდებს, ნაცები მოენატრებათ. პრეზიდენტობის კანდიდატიც კი ვერ შეარჩიეს ნორმალური.

„ნაციონალები ხელისუფლებაში უკვე მოსული არიან“

საბჭოთა კავშირს საგარეო საქმეთა მინისტრად ჰყავდა გრომიკო, რომელიც ძალიან მაღალი დონის დიპლომატი იყო. მის მაღალ კლასს ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსებიც აღიარებენ. მას მეტსახელად ეძახდნენ ნოუ-ს. ყველაფერზე არას ამბობდა.

გრომიკოსთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილსაც ნოუ-ს ეძახიან „ქართულ ოცნებაში“. პარტიის ოფისში სულ გაბრაზებული სახით დადის და, რაც არ უნდა უთხრან, ეს დიაცი გაბრაზებული სახით ყველაფერზე ინგლისურად ნოუ-ს ყვირის.

პარტიაში მას ქალბატონ მისის ნოუ-დ მოიხსენიებენ. გრომიკო ამ ნოუ-თი საქმეს აკეთებდა, ეს გაბრაზებული დადის და არ იციან, რა უნდა. „ოცნებაში“ უკვე დაცინვაც დაუწყეს, რომ გამოჩნდება, ერთმანეთს ეუბნებიან – აუ, ნოუ მოვიდაო. მერე მიდიან, საგანგებოდ რაღაცას ჰკითხავენ, ის ტრადიციულად იტყვის ნოუ-ს და გაივლის. რატომ აქვს ეს სიტყვა ამოჩემებული, არავინ იცის. ან ქართული არა თქვას, ან ფრანგული, რას გადაეკიდა ამ ინგლისურ ნოუ-ს.

– ეტყობა, გრომიკოს ბაძავს.

– ეტყობა.

– დასცინინანო, ამბობთ და გამოდის, რომ აღარ უნდათ მისი პრეზიდენტობა.

– აღარ უნდათ რომელია, მისი დანახვაც კი აღარ შეუძლიათ.

– არჩევნებამდე დაახლოებით თვე-ნახევრით ადრე ინტერვიუში გვითხარით, ივანი შვილი უკვე ნანობს სალომეს კანდიდატურის დასახელებასო. ბიძინა ისევ სინანულშია თუ შეცვალა პოზიცია?

– აქამდე თუ მარტო ნანობდა მისი კანდიდატურის დასახელებას, ახლა მისი დანახვაც კი აღარ უნდა. უბრალოდ, ერთხელ რომ ამოიჩემა, უარი ვეღარ თქვა, ახლა მისთვის ზურგის შექცევა უკვე გვიანია.

– ზემოთ თქვით, რომ მესამე პოლიტიკური ძალის შექმნას აპირებთ. რამე კონკრეტული გეგმა აქვს „დემოკრატიულ მოძრაობას“?

– ჩვენ ძალიან ბევრი ადამიანი გვირეკავს და მოგვიწოდებს, რომ მესამე ძალა შეიქმნას. მესამე პოლიტიკური ძალის შექმნა არის გარდაუვალი და ეს მესამე ძალა ვიქნებით ჩვენ – „დემოკრატიული მოძრაობა“. ჩვენ ნაცებთან ერთი დღეც არ ვყოფილვართ, არც „ოცნებასთან“ გვითანამშრომლია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ზაზა სარალიძე: „პოლიცია კარვებში რაღაცის ჩადებას აპირებს“

რატომ დაიხია ხელისუფლებამ უკან

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმეთვიანი ჭიდილის შემდეგ ხელისუფლება შვილმოკლული მამების აქციაზე კარვების გაშლას დათანხმდა. ამ მიზნის მისაღწევად აქციის მონაწილეებსა და არასამთავრობოებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ. სამართალდამცავებმა მათ არაერთხელ წაართვეს კარვები.

არასამთავრობოებს კარვები 10 ნოემბრის საღამოსაც წაართვეს, რასაც დიდი ხმაური და სკანდალი მოჰყვა. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ პარლამენტის შენობის წინ, საფეხმავლო ნაწილზე, 16 კარავი გაიშალა.

ამ 16 კარვის გაშლას ხელისუფლება უკვე გაგებით მოეკიდა. ხალხის პროტესტის მერე მეოცნებეები უკვე იმაზე ალაპარაკდნენ, რომ აქციის მონაწილეებს კარვების გაშლის უფლება აქვთ.

საზოგადოება კარვების წართმევაზე მეტად თბილისის მერის პოზიციამ გააღიზიანა. რამდენიმე დღის წინ შვილმოკლულმა მამებმა მერიიდან წერილი მიიღეს. კალაძის კანტორა მათ პროტესტის გამოსახატავად სხვა ადგილის მოძებნას ურჩევდა, რადგანაც თავად რუსთაველზე ნაძვის ხის დადგმა სურთ.

10 ნოემბრის გაწევ-გამოწევის შემდეგ კახა კალაძემ პოზიცია შეცვალა და ყველაფერი მედიას დააბრალა.

ახლა კალაძე გაოგნებული და სასოწარკვეთილი კითხულობს, ვინ მოიფიქრა შეურაცხმყოფელი ტოლობის ნიშნის დასმა შვილმკვდარ მამასა და საახალწლო ნაძვის ხეს შორისო.

თბილისის თავის თქმითვე, აქციის მონაწილეებს უფლება აქვთ, მშვიდობიანი პროტესტი გამოხატონ იქ, სადაც და რა ფორმითაც სურთ, ამბობს, რომ მერიას აქციის დაშვების ან აკრძალვის უფლება არა აქვს.

– ჩემთვის ადამიანის ღირსება, მისი უფლებები და გამოხატვის თავისუფლება არის უმთავრესი ფასეულობა, რომლის დაცვის გარანტიც ქართველ საზოგადოებასთან ერთად მთელი ჩვენი გუნდი და მეც ვარ და ყოველთვის ვიქნები. სრულიად წარმოუდგენელი და გაუგებარია, ვინ მოიფიქრა შეურაცხმყოფელი ტოლობის ნიშნის დასმა შვილმკვდარ მამასა და საახალწლო ნაძვის ხეს შორის მაშინ, როცა მერიის საპასუხო წერილში, რეალურად, მსგავსი ინტერპრეტაციის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

აღვნიშნავ, რომ 10 ნოემბერს განვითარებული მოვლენებისას რიგი მედიასაშუალებები და პოლიტიკური ოპონენტები მიზანმიმართულად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, თითქოს ნაძვის ხისა და საახალწლოდ დაგეგმილი ღონისძიებების გამო მომიტინგეებს კარვების გაშლის უფლებას არ აძლევენ ნოემბრის დასაწყისში. ცხადია, ეს არის მტკნარი სიცრუე და თავად გამოხატვის პროცესის შეურაცხყოფა. აქციის მონაწილეებს, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ, მშვიდობიანი პროტესტი გამოხატონ იქ, სადაც სურთ და რა ფორმითაც სურთ, ამის აკრძალვა ან დაშვება მერიის პრეროგატივა არასდროს ყოფილა და ჩვენმა ოპონენტებმა ეს ძალიან კარგად იციან, – აღნიშნა საგანგებო ბრიფინგზე კალაძემ.

თბილისის მერმა მწუხარება გამოხატა ხორავას ქუჩაზე მომხდარის შედეგად დაღუპულების ოჯახის მიმართ. მისი თქმით, სანამ ის თბილისის მერია, პოლიტიკურ პარტიებს არ მისცემს უფლებას, ეს ტრაგედია საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ.

10 ნოემბერს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი მამუკა მდინარაძეც გამოეხმაურა. მისი თქმით, ზაზა სარალიძესა და მის მხარდამჭერებს რუსთაველზე კარვების გაშლის უფლება ჰქონდათ.

მდინარაძე ჭმუნვაში იმის გამოა ჩავარდნილი, რომ ნაციონალები სარალიძის ოჯახის ტრაგედიას კალაძესთან საბრძოლველად იყენებენ.

– თუ კარვის დადგმაზეა საუბარი, ზაზა სარალიძეს ამის უფლება აქვს. მე ვფიქრობ, მას ეს უფლება არ უნდა შეეზღუდოს. ჩვენ არავის შევუზღუდავთ გამოხატვის თავისუფლებას. ეს ჩვენი სტილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ შვილმკვდარი მამა ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოყენებულია ძალიან ბინძურად, მაგალითად, პერსონალურად კახი კალაძის საწინააღმდეგოდ, რომლის უწყება მერიამ უბრალოდ თხოვნა და გაფრთხილება დააფიქსირა ზაზა სარალიძის მიმართ, – აღნიშნა დეპუტატმა.

რამდენი ხანი აიტანს ხელისუფლება რუსთაველზე კარვებს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ზაზა სარალიძე კარვებთან დაკავშირებით პროვოკაციასა და სკანდალს არ გამორიცხავს.

10 ნოემბერს არასამთავრობოებს პოლიციამ კარვები იმ მიზეზით წაართვა, რომ მათ შეიძლება კარვებში აკრძალული ნივთები შეეტანათ. ამაზე განცხადება საპატრულო პოლიციის უფროსმა გააკეთა.

გუშინ, 11 ნოემბერს გამართულ აქციაზე ზაზა სარალიძემ პოლიციას სთხოვა, სისტემატურად შეამოწმონ კარვები.

– საპატრულო პოლიციის უფროსმა კუპატაძემ დაგვადანაშაულა, რომ კარვებში, შესაძლოა, რაიმე ნივთიერება იყოს აღმოჩენილი. ამიტომ გთავაზობთ, ყოველ ორ საათში პოლიციელებთან ერთად თქვენი წარმომადგენელი ვიდეოს გადაიღებს, შემოწმდეს ყველა კარავი. თუ ამას მეუბნებით, ე.ი. ჩავთვლით ისე, რომ პოლიცია თვითონ აპირებს რაღაცის პროვოცირებასა და რაღაცის ჩადებას კარვებში. თქვენ რომ არ დაუშვებთ პატრულის თანამშრომლები, ეგ ვიცი, მაგრამ აქ არის კრიმინალური პოლიცია, რომელიც ზეწოლაზე მოდის, – აღნიშნა შვილმოკლულმა მამამ.

მის მოწოდებას პოლიცია დიდი ენთუზიაზმით არ გამოხმაურებია. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროს გოგა მემანიშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე კარვის შემოწმების საჭიროება არ არსებობს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ისინი აქციის ორგანიზატორებს აცნობებენ და შემდეგ კარავს შეამოწმებენ.

„გამარჯვებული ვაშაძე უფრო თვინიერი იქნება, ვიდრე დამარცხებული“

პაატა ზაქარეიშვილი: „გული მწყდება, რომ „ოცნებამ“ ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, საზოგადოება აქტიურად ადევნებს თვალს ბოლო პერიოდის მოვლენებს. წინ მეორე ტურია, ხელისუფლება კი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. რატომ გაუჭირდა ასე „ოცნებას“ და რას ელოდებით?

– „ოცნებას“ გაუჭირდა იმიტომ, რომ ხერხავდა იმ ტოტს, რომელზეც იჯდა და, საბოლოო ჯამში, მიიღო ის, რასაც ვხედავთ. მას შემდეგ, რაც დაიშალა კოალიცია, ჩანდა, რომ აქეთკენ მიდიოდა ყველაფერი. დაშვებულ იქნა სამი საბედისწერო შეცდომა, რომელშიც არის ერთი საერთო სიტყვა – ნაადრევი.

– რომელ შეცდომებს გულისხმობთ?

– პირველი შეცდომა იყო ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ვადაზე ადრე წავიდა პოლიტიკიდან; მეორე შეცდომა – ბიძინა ივანიშვილმა ვადაზე ადრე დაშალა კოალიცია და მესამე შეცდომა – ბიძინა ივანიშვილმა ვადაზე ადრე გამოშიგნა საკუთრივ პარტია „ქართული ოცნება“. მიუხედავად იმისა, რომ იქ პოლიტიკოსები აღარ იყვნენ დარჩენილი, გამოცდილი ადამიანები მაინც იყვნენ, ის ხალხი მაინც იყო, ვინც ებრძოდა ნაციონალურ მოძრაობას. მათ ნაცვლად კი მოიყვანა ახალგაზრდა ბიჭები, რომლებსაც არანაირი წარმოდგენა არ აქვთ პოლიტიკაზე.

– ეს იყო საბედისწერო შეცდომები?

– დიახ და ამ სამმა საბედისწერო შეცდომამ მოიტანა ის, რომ „ქართული ოცნების“ დიდხანს „მეცადინეობამ“ ნაციონალურ მოძრაობას, მის დაბრუნებას, შესძინა ლეგიტიმაცია. ვინც ადრე აძლევდა ხმას „ქართულ ოცნებას“, იმ ხალხმა ხმა მისცა ისევ ნაციონალურ მოძრაობას. ეს არის ლეგიტიმური დაბრუნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაციონალური მოძრაობისა. თანაც წინ მეორე ტურია და ბევრი რამე შეიძლება მოხდეს. თუმცა ნაციონალური მოძრაობა უკვე წელში გამართულია და „ქართული ოცნება“ წელში გატეხილია. აი, ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი მოხდა.

– კიდევ რა შეიძლება მოხდეს?

– სამი ვარიანტი უნდა განვიხილოთ, რაც შეიძლება მოხდეს.

პირველი: სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვოს, მეორე – ვაშაძემ გაიმარჯვოს და მესამე, ვაშაძე დამარცხდეს.

სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება, ასე თუ ისე, სტაბილურობას შეინარჩუნებს და ამ ეტაპზე პარაშუტი იქნება „ქართული ოცნებისათვის“, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე შედარებით მართონ სიტუაცია. მაგრამ ეს გამარჯვება უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სუფთა! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, იყოს გაყალბება. სალომე ზურაბიშვილმა თუ გაიმარჯვა და, იმედი მაქვს, გაიმარჯვებს, მე მისი გამარჯვება მირჩევნია. თუ გაიმარჯვა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს გამარჯვება შესაძლოა იყოს 2-3%-ით მეტი. შესაბამისად, ეს 2-3% საკმარისია, რათა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყოს ლაპარაკი, რომ გაყალბდა არჩევნები და ბევრისთვის ეს დამაჯერებელი იქნება.

– ანუ მაღალი პროცენტით უნდა გაიმარჯვოს თუ საიდან მიანიშნებთ?

– რა თქმა უნდა! თუმცა ვერ გაიმარჯვებს, ეს არ ჩანს არანაირად. სალომე ზურაბიშვილმა 8-10%-ით მაინც უნდა აჯობოს ვაშაძეს, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ ჰქონდეს დამაჯერებელი საფუძველი იმის თქმის, რომ არჩევნები გაყალბდა. 2-3%-ით მეტი გამარჯვება კი ნიშნავს იმას, რომ ნაცმოძრაობა ამას აუცილებლად გამოიყენებს არეულობისათვის.

თუ ნაციონალებმა თავიანთ ამომრჩევლებსა და მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ არჩევნები გაყალბდა, მაშინ პერმანენტულ არეულობას საპარლამენტო არჩევნებამდე საფუძველი ექნება.

– წავლენ არეულობაზე?

– ნაციონალურ მოძრაობას იმდენად ფეხებზე ჰკიდია საქართველო, როგორც სახელმწიფო, რომ დიდი სიამოვნებით წავა ამ პროცესისკენ, რასაც სიტუაციის არევა ჰქვია, ხოლო თუ ვაშაძემ გაიმარჯვა, რაშიც მე დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ, გამარჯვებული ვაშაძე იქნება უფრო თვინიერი.

– ანუ თუ გაიმარჯვებს, ნაკლებად საშიში იქნებიან ვაშაძე და ნაცმოძრაობა, ვიდრე დამარცხების შემთხვევაში?

– დიახ. დღეს მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ გაიმარჯვოს „ოცნების“ კანდიდატმა, მთავარი ამოცანაა, არ გააყალბოს არჩევნები და არ გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსები. თუ ისინი ამ ცდუნებას გადალახავენ და მიიღებენ ნებისმიერ შედეგს, მათ შორის ვაშაძის გამარჯვებას, ეს მათ ღირსებას მატებს.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუთმონ გამარჯვება ვაშაძეს, მაგრამ, თუ ჩანს, რომ ის იმარჯვებს, არ უნდა შეეწინააღმდეგონ. ვაშაძეს კი არა, ქართველი ხალხის ნებას არ უნდა შეეწინააღმდეგონ.

– პრეზიდენტს დიდი უფლებამოსილება არ აქვს და გამარჯვების შემთხვევაშიც ვერაფერს დააკლებს? ამ ლოგიკას მიჰყვებით?

– დიახ, ასეა. კიდევ კარგი, ეს არ ხდება თვითმმართველობის არჩევნების დროს. მაშინ კატასტროფა იქნებოდა. „ქართულ ოცნებას“ თუ რამეში გაუმართლა, მხოლოდ იმაში, რომ მას ეს კრიზისი მოუწია აბსოლუტურად უუფლებო პრეზიდენტის არჩევნების დროს და არა – სერიოზული არჩევნების დროს.

– რამდენად შეძლებს „ოცნება“, დადგეს ფეხზე? ვაღიარებთ შეცდომებსო. დაინახეთ ეს?

– ვაღიარებთო, მაგრამ რას აღიარებენ, ვერ გავიგე. აღიარებენ შეცდომად იმას, რომ კოალიცია დაშალეს?! აღიარებენ იმას, რომ ბახტაძე ნაციონალური მოძრაობიდან იყო და პრემიერ-მინისტრად დანიშნეს, ამ შეცდომას აღიარებენ?! ეს არის მთავარი შეცდომები და მე ამის აღიარება ვერსად ვნახე. აღიარებს იმას, რომ კობახიძე არ უნდა ყოფილიყო პარლამენტის თავმჯდომარე?! რომელ შეცდომებს აღიარებენ, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

– ანუ არ მიდიან შეცდომების გამოსწორების გზით?

– ამას ვერ ვხედავ. პირველიდან მეორე ტურამდე ბევრს ვერაფერს მოასწრებენ და მე მათი მესმის და მებრალებიან ძალიან. გული მწყდება, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი.

ლია მუხაშავრია: „არ მესმის, რატომ ეშინიათ ნაციონალების დაბრუნების“

ნათია ხურცილავა

ადვოკატი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ინფორმაცია პროცესების ესკალაციასთან დაკავშირებით. კანონმდებლობით აქვს ზაზა სარალიძეს პარლამენტის წინ კარვების გაშლის უფლება?

– რა თქმა უნდა, აქვს. მას და საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ უკრძალავს საქართველოს კანონმდებლობა, რომ თავისი პროტესტი დააფიქსიროს. საქართველოში გამოხატვის თავისუფლება კანონმდებლობით არის დაცული და გარანტირებული. შესაბამისად, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, უკან ვერავინ დაგვაბრუნებს.

– რამდენიმე დღის წინ დეპუტატმა ზაზა ხუციშვილმა განაცხადა, რომ გრიგოლ ვაშაძე რევოლუციის ლიდერობას აპირებს და არა – პრეზიდენტობას. რამდენად გრძნობთ ამ განწყობას, რომ შეიძლება მოვლენები მართლაც ასე განვითარდეს?

– გულწრფელად ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ადამიანს, რომლისადმიც კეთილგანწყობა მაქვს, ასეთი წარმოდგენები აქვს. ეტყობა, მისთვის დეპუტატის ამპლუა ძალიან მძიმე ტვირთია და ამან წონასწორობა დააკარგვინა. დიდი ბოდიში,

მაგრამ მე, რიგით მოქალაქეს, ქალს, მარტოხელა დედას, არანაირი შიში არ მაქვს და ეს ვაჟკაცი მამაკაცები რამ შეაშინა, საპარლამენტო იმუნიტეტით აღჭურვილები.

ერთიორად გამკვირვებია. მათგან განსხვავებით, მე არც იმუნიტეტი მიცავს, არც მაღალი ხელფასი და არც ის პრივილეგიები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს აქვთ.

მე მათ შიშს სხვა რაღაცას ვუკავშირებ. ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ წევრებს წარმოეშვათ პანიკა იმის შიშით, რომ აშკარად იკვეთება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მათი დამარცხება. ყოველგვარი რევოლუცია და არეულობა მე გამორიცხული მგონია, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ თუ გრიგოლ ვაშაძე იმარჯვებს მეორე ტურში, მაშინ მის ინტერესებში იქნება, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის, რომ სტაბილურობა და წონასწორობა შეინარჩუნოს, რომ ქვეყანა მშვიდობიანად მივიდეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

ჩვენ უკვე ვართ დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც სწორედ არჩევნების გზით ირჩევს თავის ხელისუფლებას და სწორედ ამ გზით აპირებს ძველის ახლით ჩანაცვლებას. არავინ ჭკუათმყოფელი არავის მისცემს იმის უფლებას, რომ ამბოხებები და რევოლუციები დააბრუნოს ამ ქვეყანაში.

– 7 ნოემბრის ავტორები უნდა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში? რა იქნება დამზღვევი მსგავსი სცენარებისგან? თუ ძალთა ბალანსისთვის ამ ეტაპზე ასე ჯობია?

– ძალიან ბევრი ავითარებს ამ აზრს და ძალიან მიკვირს. თავად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ არ მოიყვანა ნაციონალური მოძრაობის ის სახეები ხელახლა ხელისუფლებაში?! განა „ქართულმა ოცნებამ“ არ მოიყვანა პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა მეორე ძალად, ანგარიშგასაწევ ოპოზიციად?! ამიტომ არ მესმის, რატომ ეშინიათ ასე ძალიან, თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში.

მათ ხომ შეიფარეს პორტირებული „ნაცები“ და საკუთარ რიგებში მისცეს საკმაოდ გავლენიანი თანამდებობები. აქ საუბარია მაღალი კომპეტენციის თანამდებობებზე და არა – უმნიშვნელო თანამდებობებზე. თუნდაც სასამართლო სისტემაში, პროკურატურაში და ა.შ. მაშინ თუ არ ეშინოდათ, ახლა მით უფრო გაუგებარია, რატომ ეშინიათ?!

„ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნები თუ წააგო, რატომ იქნება ეს კატასტროფა, მით უფრო ქვეყნისთვის კატასტროფა?! მე ვფიქრობ, რომ ეს კატასტროფა იქნება არა ქვეყნისთვის, არამედ მათთვის.

– როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ სტრატეგიული არჩევანია სალომე ზურაბიშვილის გადამალვა, მაგრამ კანდიდატის გარეშე წინასაარჩევნო კამპანია რამდენად სრულფასოვანი იქნება?

– ეტყობა, მიხვდნენ, რაც უფრო მეტად ჩანს და ლაპარაკობს ეს ქალბატონი, მით უფრო უარყოფითად განაწყობს მის მიმართ ამომრჩეველს. თავიდანვე ჯობდა, რომ ნაკლებად გამოჩენილიყო, ნაკლები შეხვედრები ჰქონოდა და ნაკლები ელაპარაკა.

დღეს ყველაზე კარგად „ქართული ოცნების“ მესვეურებს ესმით, რომ მათთვის ეს საპრეზიდენტო არჩევნები წაგებულია. ამიტომ გადაწყვიტეს, ვაბანკზე წავიდნენ, ანუ მზად არიან, წავიდნენ ყველა ზომაზე, რომ მოსახლეობა შეაშინონ – თუ არა ჩვენ, მაშინ ვინ?!

არადა, ჩვენ, ამ ქვეყნის მოსახლეობას, რომელმაც გამოვიარეთ 9 აპრილი და იქიდან მოყოლებული ყველა უბედურება, არ გვეშინია. ადამიანებს არ ეშინიათ არც ხელისუფლების ცვლილების, მით უფრო, თუ ეს ცვლილება ხალხის ნებით ხდება, მაგრამ ძალიან შეგვეშინდება, თუ ვინმე გაბედავს და მოინდომებს ხელისუფლების უკანონოდ დამხობას, გადატრიალებებს, ძალაუფლების უკანონო გზებით მოპოვებას.

თუმცა, ასეთ ვითარებაში სათანადო წინააღმდეგობას გავუწევთ ასეთ არაკანონიერ მეთოდებს. ეს მერამდენედ დაამტკიცა ქართველმა ხალხმა, ამ ქვეყნის მოსახლეობამ.

კახა კოჟორიძე: „10 ნოემბერს სახელმწიფო ორგანო კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გავიდა“

„ნაძვის ხის დადგმის მოტივით კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა დაუშვებელია, მეტი კონკრეტიკაა საჭირო დესტაბილიზაციის რისკზეც“

იაგო ნაცვლიშვილი

შაბათ საღამოს შვილმოკლული მამების ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე პოლიცია ადამიანებს კარვების დადგმის შესაძლებლობას არ აძლევდა. იყო ექსცესებიც, სამართალდამცავები და მომიტინგეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შუხლა-შემოხლისას ზაზა სარალიძე ცუდად გახდა და კლინიკაში გადაიყვანეს.

იქამდე ამ პროცესს წინ თბილისის მერის კახა კალაძის განცხადება უძღოდა, რომელმაც სარალიძესა და მაჩალიკაშვილს მოუწოდა, დეკემბრიდან კარვები სხვა ადგილას გაეშალათ, მოტივად კი საახალწლო ნაძვის ხის დადგმა დაასახელა. მანვე თქვა, რომ კანონის შესაბამისად იმოქმედებენ, თუმცა არც კანონი და არც კანონის მუხლი არ დაუკონკრეტებია. მოგვიანებით შს მინისტრმა გიორგი გახარიამ დესტაბილიზაციის რისკზე ისაუბრა. კონკრეტიკა არც მინისტრის განცხადებაში იყო.

ამ თემაზე „ახალი თაობა“ მართლმსაჯულების საკითხებში პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველ კახა კოჟორიძეს ესაუბრა.

– რა შეფასებას გააკეთებთ რუსთაველის გამზირზე შაბათ საღამოს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? ხომ არ იყო გადამეტებული ძალა პოლიციის მხრიდან და რას ფიქრობთ ზოგადად ამ პროცესებზე?

– სანამ ძალის გადამეტებაზე ვისაუბრებ, მინდა ვთქვა ის, რამდენად ჰქონდათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება იმ ადამიანებს, რომლებიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობდნენ.

მაგ კითხვაზე პასუხის გასაცემად მარტივი ლოგიკის გამოყენებაა საჭირო. პირველი, თუ გამოხატვის თავისუფლება კანონის დაცვით ხორციელდებოდა, მაშინ მისი შეზღუდვა ნებისმიერი ფორმით უკანონო იქნება. ეს მეორე კითხვაა, პირველი კითხვა კი ის არის, კანონიერად ხდებოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლება.

– კანონიერად ხდებოდა?

– რა თქმა უნდა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ აქვთ თავისი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, მათ შორის იმ ფორმით, რომლითაც ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი აფიქსირებდნენ. აქ პრაქტიკულად სადავოც არაფერია.

ჩვენ მოვისმინეთ პოზიცია, თუ რატომ უნდა შეზღუდულიყო ამ ადამიანების კონსტიტუციური უფლებები, თუმცა იქ სამართლებრივი არგუმენტი ვერ დავინახე. იყო ძალიან ზოგადი განცხადება, რომ იქ შეიძლება მათ კარავში შეიტანონ რაღაცა ისეთი ნივთი, რომელიც აკრძალულია. ეს აბსოლუტურად დაუსაბუთებელი პოზიციაა. ამას სამართლებრივ პოზიციას ვერ დავარქმევთ. ეს არის სამართლის მიღმა პოზიცია.

სწორედ ამის გამო მე შეკითხვა დავწერე ფეისბუქზე, რომ არის თუ არა რაიმე სამართლებრივი არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა გაშალოს იქ ადამიანმა კარავი. თუ უკვე აღარ გვაინტერესებს სამართალი? ის პროცესი, რაც გვხვდებოდა, როდესაც შსს-ს წარმომადგენლები ადამიანებს ხელს უშლიდნენ კარვის გაშლაში, არანაირ სამართლებრივ არგუმენტს არ უთითებდნენ. ჩემი აზრით, ამ პროცესს სამართალთან კავშირი არ ჰქონია და ეს ძალიან სახიფათო ამბავია.

– სახიფათო რა მხრივ?

– სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტს ურტყამს. სახელმწიფოს არსებობა, მისი რაიმე მოქმედება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს კანონიერების პრინციპს. როცა კანონს ვერ უთითებ, თუ რატომ ზღუდავ კონსტიტუციურ უფლებას, ეს ძალიან საშიში ამბავია. პრაქტიკულად, ეს არის სახელმწიფოს ერთი ორგანოს გასვლა კონსტიტუციური ჩარჩოდან, რისი ნიშნებიც შაბათს დავინახეთ. აბსოლუტურად სამართლიანად იყო ამის გამო საზოგადოების ნაწილი აღშფოთებული.

ჩვენს კონსტიტუციაში ან რომელიმე კანონში რომ ეწეროს, რომ გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ნაძვის ხის დადგმის მოტივით, მაშინ გავიგებდით, მაგრამ ასეთი რამე არ წერია. საუბარი იმაზე, რომ ვიღაცამ შეიძლება შეიტანოს კარავში ნივთი, რომელიც შეიძლება უკანონო იყოს, აბსოლუტურად მიუღებელი არგუმენტია.

აბსოლუტურად სწორად იყო სარკასტული შეკითხვები „ფეისბუქზე“, რომ ჯიბეებიც უნდა ამოვიკეროთ,

სახლებს „პადვლებიც“ არ უნდა ჰქონდეს... ძალიან აბსურდამდე მივდივართ ამ არგუმენტის დაშვებით.

– შს მინისტრმა გიორგი გახარიამ გააკეთა განცხადება და თქვა, რომ დესტაბილიზაციის რისკი არსებობდა და ამიტომ მოიქცა პოლიცია ასე. თქვენთვის თუ არის ეს განცხადება გასაგები?

– არა, ეს ჩემთვის გასაგები არ არის. მე ვერ ვხედავდი დესტაბილიზაციის რისკს. დესტაბილიზაციის რისკზე ჩვენი სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც ამბობს, რომ როცა საუბარია დესტაბილიზაციის რისკზე, იქ მოყვანილი უნდა იყოს კონკრეტულ გარემოებებზე მითითება და ამ კონკრეტულ გარემოებების ერთობლიობა უნდა ქმნიდეს იმას, არის თუ არა დესტაბილიზაციის რისკი.

მაგალითად, უნდა არსებობდეს კარავში ისეთი საგნების შეტანის მტკიცებულება, რაც ამ დესტაბილიზაციის რისკს განაპირობებს. ამ შემთხვევაში ასეთი ზოგადი ფრაზები შენს კონსტიტუციურ უფლებას ვერ შეზღუდავს. კონკრეტიკაა საჭირო, რა დესტაბილიზაციაზეა საუბარი და რით გამოიხატება, რამდენად საშიშია და ა.შ.

ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საერთაშორისო სტანდარტია, რომ როცა ადამიანი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს, ეს შეიძლება ვიღაცას დისკომფორტს უქმნიდეს, მაგრამ ეს დასაშვებია. დავუშვათ, რომ სარალიძეს უსამართლო პროტესტი აქვს, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი არ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება ნაძვის ხის დადგმის მოტივით.

თუ საუბარი დესტაბილიზაციის რისკზე იყო, მაშინ ნაძვის ხე რა შუაშია?! მაშინ მაგ სცენარს უნდა მივყვეთ, რომ თუ დესტაბილიზაციის რისკი არსებობს და საზოგადოებისთვის საშიში სცენარი შეიძლება განვითარდეს, მაშინ ეს უნდა დასაბუთდეს. ისე არ უნდა იყოს, რომ მოდი, თქვენ აქედან წადით, კონსტიტუციური უფლებები დაივიწყეთ და აქ ნაძვის ხე დავდგათ.

– კალაძის განცხადებას გაეცით ნაწილობრივ პასუხი, რომ არ იყო ადეკვატური, რაც ნაძვის ხესთან დაკავშირებით თქვა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი განცხადება მას პოლიტიკურად გადაიყოლებს?

– არ ვიცი. პოლიტიკურ შეფასებას ვერ გავაკეთებ. სახელმწიფო თუ თვითმმართველობის ორგანო როცა ასეთ საკითხზე პოზიციას აფიქსირებს, შეიძლება რომელიმე თანამდებობის პირის პერსონალურ სურვილებს გამოხატავდეს. მესმის, რომ თბილისის მერს უნდა, იქ იყოს აღმართული ნაძვის ხე და უნდა, რომ ბავშვები თუ ტურისტები მივიდნენ. ჩემს შვილსაც აქვს სურვილი, რომ საახალწლო ნაძვის ხესთან მივიდეს, მაგრამ ჩემმა შვილმაც და თბილისის მერმაც კეთილი ინებონ და დაემორჩილონ საქართველოს კანონმდებლობას.

ადამიანის კონსტიტუციური უფლების გამოხატულება როგორი მიუღებელიც უნდა იყოს, ის არ უნდა შეიზღუდოს. ამ ლოგიკით მისი რაიმე ფორმით შეზღუდვა აბსოლუტურად მიუღებელია სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს მოქმედება ასეთ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული კანონის კონკრეტული მუხლისა თუ ქვეპუნქტის საფუძველს.

სხვა შემთხვევაში ჩვენ გავდივართ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩარჩოებიდან. ეს ძალიან დამაზიანებელი იქნება როგორც ჩვენი შიდა სტაბილურობის, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პრესტიჟისთვის.

– თუ აქციის დროს გზა არ იკეტება, მაინც სჭირდებათ აქციის ორგანიზატორებს ნებართვა მერიისგან?

– ჩვენი კანონმდებლობით, ნებართვა აქციის ჩასატარებლად საჭირო საერთოდ არ არის. ერთადერთი, არის შეტყობინების ვალდებულება, როდესაც აქცია იმართება ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას. ამ შემთხვევაში კარვის დადგმა არ საჭიროებდა ამას, რადგან ხალხსაც ექნებოდა შესაძლებლობა, გაევლო, ტრანსპორტის სავალ ადგილას კი საერთოდ არაფერი იგეგმებოდა.

სამწუხაროდ, ეს არახალია. წინა ხელისუფლების დროს, როდესაც საია-ში ვმუშაობდი, სანამ მისი თავმჯდომარე გავხდებოდი, მაშინ ვიყავი საია-ს ადვოკატი და არაერთი საქმე გვქონდა, როცა გამოხატვის თავისუფლების უხეშ შეზღუდვაზე იყო საუბარი.

ერთ-ერთი იყო ერთი ჟურნალისტის საქმე, რომელმაც კარავი დადგა პარლამენტის წინ და მაშინ მას კარავი დაუშალეს. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა და ახლაც არის. იმაზე, რომ ეს ადრე ხდებოდა, საზოგადოებამ თავისი პოზიცია არაერთხელ დააფიქსირა. თუ იგივე სიტუაცია განმეორდება, ეს ძალიან მძიმე იქნება. 10 ნოემბრის შემთხვევა ძალიან მძიმე საყურებელი იყო. ვხედავდით, როგორ გადიოდა სახელმწიფო ორგანო კონსტიტუციური ჩარჩოებიდან.

– ეს ნიშნავს თუ არა, რომ ქვეყანა დემოკრატიული ღირებულებების გზიდან უხვევს?

– ფაქტია, რომ დემოკრატიული ღირებულებების მაღალი სტანდარტი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. 10 ნოემბერი ამის გამოხატულება იყო. მე პოლიტიკური შეფასებების კეთება არ მინდა. მე ვარ იურისტი და სამართლის ჭრილში ვუყურებ, მაგრამ ხშირად უკავშირდება პოლიტიკურ საკითხებსაც.

მე არ ვამბობ, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და ა.შ. ჩემი სურვილია, მოქმედმა ხელისუფლებამ კანონის ჩარჩოების შესაბამისად იმოქმედოს.

ვიმეორებ, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ ამას სჭირდება დასაბუთება. სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს რესურსიც და კვალიფიკაციაც, რომ ეს დაასაბუთოს. ნაძვის ხის დადგმის მოტივით ეს ვერ დასაბუთდება. თუ ის ვერ ასაბუთებს, მაშინ შეეგუოს, რომ ადამიანები, თუნდაც მისთვის მიუღებელი პროტესტის ფორმებით, კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ახორციელებენ.

„რუსები მავთულხლართებს იქ მცხოვრები ოსების შესაკავებლად ავლებენ“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ შეიძლება საქართველოში არიან რუსეთთან კავშირში მყოფი ძალები, რომლებსაც აწყობთ დესტაბილიზაცია. ამიტომ, შეიძლება, ურეკავენ მოსკოვში გარკვეულ ძალებს და საოკუპაციო ხაზთან იწყება მავთულხლართების დამონტაჟება.

– ბატონო ვახტანგ, რუსები დროდადრო აქტიურდებიან და საოკუპაციო ხაზის გავლებას აგრძელებენ ხოლმე ქართველების საკარმიდამო ნაკვეთებში. ამ დღეებშიც მავთულხლართების გასაბმელად ბოძები ქარელის რაიონის სოფელ ატოცში დაამონტაჟეს. რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ახლა რუსების გააქტიურება?

– დროდადრო რუსეთიდან დავალებას აძლევენ თავიანთ სამხედროებს და გარკვეულ ადგილებში იწყებენ მავთულხლართების დამონტაჟებას. ეგენი მისდევენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარს და იქ აკეთებენ მავთულხლართებს. ახლა ცხინვალში იმდენი ათასი ჯარისკაცია, რუსებმა ისინი სულ რომ გამოიყვანონ, შეიძლება ერთ-ორ თვეში გააკეთონ მავთულხლართები და პერიოდულად არ ხდებოდეს ქართული მხარის გაღიზიანება.

იმ მავთულხლართების გამო ქართული მხარე ხომ ღიზიანდება, როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია. ალბათ, მაგათაც ეგ აწყობთ. ახლა რადგან არჩევნებია, აბამენ მავთულხლართებს 1-2 კილომეტრზე, პროვოკაციულ ქმედებებს ახორციელებენ, რომ როგორმე ჩვენი ხელისუფლება რაღაცაში გამოიჭირონ და ვითარება დაძაბონ. არ ვიცი, რუსულ მხარეს რაში აწყობს ეს, ყველაფერი წაიღო, რისი წაღებაც უნდოდა.

– მაინც რატომ შეიძლება გააქტიურებულიყვნენ ახლა?

– რუსეთიდან აძლევენ მავთულხლართების გაბმის დავალებას, რომ საქართველოს ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვიონ, ან ჩვენგან, ოპოზიციაა თუ ვინმე დაინტერესებული, რომ საქართველოში ვითარების დესტაბილიზაცია მოხდეს. ერთად კავშირში დროდადრო აქტიურდებიან, რომ საქართველოს ხელისუფლება წამოაგონ პროვოკაციაზე.

– საოკუპაციო ხაზთან რუსების გააქტიურება საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებთან არის დაკავშირებული? რა არ მოეწონა რუსეთს? ან რა შეიძლებოდა არ მოსწონებოდა?

– არაფერია გამორიცხული, მით უმეტეს, ახლა კარგი ამინდებია, შემოდგომაა. ამ დროს ასეთი ამინდები ჯერ არ ყოფილა, წვიმის წვეთი არ წამოვარდნილა. საერთოდ, სამუშაოები მშრალ ამინდში უნდა აწარმოო, რომ ტექნიკა მივიდეს. თუმცა, ისმება კითხვა, 3 თვის წინ რატომ არ გააკეთეს? ან 6 თვის წინ რატომ არ გააკეთეს? იმდენი ჯარისკაცი ჰყავთ, რომ მოინდომონ და მობილიზაცია გაუკეთონ, 1 თვეში მორჩებიან მავთულხლართების გაბმას. დიდი ნაწილი უკვე გაკეთებული აქვთ. ამიტომ ვამბობ, რომ უნდათ, ჩვენი ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგონ.

ალბათ, ვიღაცები რუსებს თბილისიდან ურეკავენ, რომ მოსახლეობა გააღიზიანონ.

– ვინ შეიძლება ურეკავდეს საქართველოდან მოსკოვში მავანს და უკვეთდეს არეულობას? ვის შეიძლება აწყობდეს საქართველოში არეულობა?

– ჩემს ხეობელებთან ერთად სისხლი მაქვს დაღვრილი ამ მიწის დაცვისთვის. ვინ და რატომ ურეკავს, რომ ვიცოდე, მაშინვე გეტყოდით. მე ვამბობ, რომ არის რაღაც დაჯგუფება, რაღაც ძალა, რომელსაც საქართველოში სიწყნარე არ უნდა. ახლა ყველაზე კარგი მომენტია. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ორი ძალა მონაწილეობს, ხელისუფლება და ოპოზიცია და ალბათ ვიღაცებს აწყობთ რუსეთის საოკუპაციო ხაზთან გააქტიურება.

– ოპოზიციას აწყობს არეულობა?

– ხელისუფლებას რომ არ აწყობს, ცხადია. მავთულხლართების გაბმით მოსახლეობა ხომ ღიზიანდება ხელისუფლებაზე, რატომ არაფერს აკეთებს, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ სპეცრაზმს რატომ არ აყენებსო. ხელისუფლებამ საოკუპაციო ხაზთან სპეცრაზმი რომ ჩააყენოს, ფაქტობრივად, არარსებული საზღვრის დაფიქსირება გამოვა. ჩვენი ხელისუფლება არასოდეს წავა ამაზე. არც ერთი ხელისუფლება ამაზე არ წავა, რომ შუაგულ საქართველოში საზღვარი გაავლოს.

– საოკუპაციო ხაზთან სალომე ზურაბიშვილი იმყოფებოდა, სადაც ინციდენტი მოხდა – უთხრეს, არ გრცხვენიათ, აქ რომ ჩამოხვედითო? როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილს უნდა რცხვენოდეს საოკუპაციო ხაზთან ჩასვლა? მას დანაშაული აქვს ჩადენილი?

– საქართველოს არც ერთ მოქალაქეს საოკუპაციო ხაზთან ჩასვლა არ უნდა რცხვენოდეს. ქალბატონ სალომეს 2008 წელს ომი არ წაუგია, მაშინ ოპოზიციაში იყო. ვინც ავანტიურაში ჩაება, მას უნდა რცხვენოდეს. რატომ უნდა რცხვენოდეს სალომე ზურაბიშვილს? მით უმეტეს, ქალბატონია და იარაღის ჭერის ვალდებულება არ ჰქონდა. კაცებმა არ აიღეს იარაღი ხელში, საქართველოს ნახევარი გარბოდა.

სალომე ზურაბიშვილზე ლაპარაკს სჯობდა, ის ეთქვათ, ხეობაში ავტობუსი რატომ არ გამოუშვეს მოსახლეობის გამოსაყვანად. კაცები გარბოდნენ, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვართან ტევა არ იყო, სალომე ხომ არ აიღებდა იარაღს და საბრძოლველად ხომ არ წამოვიდოდა. ფაქტი ხომ არის, საზღვარი იყო გადატენილი აქედან გაქცეული ადამიანებით. ეს ჩვენი უბედურებაა.

– სალომეს ომის დაწყებაზე ეკითხებოდნენ. მუდმივი საუბარია 2008 წელს ომის დაწყებაზე.

– 2008 წელზე უფრო ცხელი სიტუაცია იყო 2004 წელს, როცა უამრავი ბიჭი და ადგილობრივი მოსახლეობა დაგვეხოცა, მაგრამ საერთაშორისო ძალებმა რაღაცნაირად მოახერხეს ვითარების დასტაბილურება, კონფლიქტის ზონიდან ჩვენი ნაწილები გამოიყვანეს.

შეტევა დაიწყო 2008 წლის 7 აგვისტოს, 8 აგვისტო რომ თენდებოდა. საბრძოლო მოქმედებები ივლისში დაიწყო. ფრონის ხეობა დაიბომბა. ერედვი დიდი სოფელია, მაგრამ იქ ერთი ბომბიც არ ჩამოვარდნილა. რაღაც მომენტში საბრძოლო მოქმედებები ჩვენ განვაახლეთ.

ნაციონალები სალომეზე კი არ უნდა ლაპარაკობდნენ (კაცმა ქალს ომის ამბავი როგორ უნდა დააბრალოს), თავიანთ ნამოქმედარზე ილაპარაკონ. 2004 წლის ინციდენტის შემდეგ ჩვენი საჯარისო ფორმირებები და პოლიცია 1 წლის განმავლობაში კიდევ ხეობაში იმყოფებოდნენ, არ გამოსულან, 2008 წელს კი, 8 აგვისტოს, მთელი უმაღლესი მთავარსარდლობა გამოიქცა. 3-4 დღე რომ გავჩერებულიყავით, საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერეოდა და პატარა ლიახვის სოფლებს, ახალგორს შევინარჩუნებდით, გორის რაიონის სოფლებშიც აღარ შემოვიდოდნენ. მე-4, მე-5 დღეს ამერიკამ განცხადებები გააკეთა. შეიძლება, მსხვერპლიც ყოფილიყო (მსხვერპლი ისედაც გვქონდა), მაგრამ, რომ გაგვეძლო, კარგა დიდ ტერიტორიებს შევინარჩუნებდით.

გურამ ვახტანგაშვილი: „ახლა დესტაბილიზაცია ოპოზიციას აწყობს“

– რა როლის შესრულება შეუძლია ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის დარეგულირებაში პრეზიდენტს? სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საოკუპაციო ხაზთან განცხადებას აკეთებს, როგორც მომავალი პრეზიდენტი. მნიშვნელობა აქვს, ქვეყანას ვინ ეყოლება პრეზიდენტად?

– კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე პრეზიდენტმა ყველა ტრიბუნა უნდა გამოიყენოს, მთელი მსოფლიო უნდა შემოიაროს, რუსეთშიც უნდა ჩავიდეს (ოღონდ ხელისუფლებასთან შეთანხმებით). ამ საკითხში ოპოზიცია და პოზიცია ერთიანი უნდა იყოს. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში უნდა დააყენოს კონფლიქტის დარეგულირების საკითხი. პირველ რიგში, პრეზიდენტმა დევნილების უპირობო დაბრუნებაზე უნდა იმუშაოს, რაზეც გაეროს ბევრი რეზოლუცია აქვს მიღებული.

– ასეთი პროცესი შეიძლება დაიწყოს?

– დიახ. რაღაც უნდა შეიცვალოს, პროცესი მკვდარი წერტილიდან უნდა დაიძრას. პირველ ეტაპზე დევნილები უნდა დაბრუნდნენ ახლომდებარე სოფლებში, ახალგორსა და გალის რაიონში. შემდეგ ცხოვრების დონე რომ აიწევს, უფრო მეტი ოსი მოინდომებს ჩვენთან ერთად ცხოვრებას. ახლა ოსები ორჯონიკიძეში ჩადიან და იქიდან შემოდიან, ვისაც ამის საშუალება აქვს.

მავთულხლართებს ქართველებისთვის კი არა, ოსებისთვის, იქ მცხოვრები ადამიანების, თავიანთი მოსახლეობის შესაკავებლად აკეთებენ. მთელი თბილისი ჩრდილოეთ ოსეთის ნომრიანი მანქანებითა გავსებული, გაიარეთ რუსთაველზე. ცხინვალიდან ერთ საათში ჩამოხვალ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს იმის შესაძლებლობა არ აქვს, ჩავიდეს ორჯონიკიძეში და იქიდან შემოვიდეს საქართველოში, ამიტომ ბევრი შემთხვევაა, გარკვეული ადგილებიდან იპარებიან ნათესავების სანახავად. ყველასათვის ცნობილია, რომ ოკუპირებული ტერიტორიის აქეთ უფრო მეტი ოსი ცხოვრობს.

ევროკავშირის ელჩი: „მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას“

ჩვენ მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას, – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა სოფელ ატოცში, საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მავთულხლართების მონტაჟის კომენტირებისას განაცხადა.

– ჩვენ მკაცრად ვგმობთ ახალი მავთულხლართების აგებას „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო წარმომადგენლებისა და რუსეთის მესაზღვრეების მიერ. აშკარაა, რომ ეს ქმედება შეზღუდავს ხალხის უფლებებს, გაყოფს ოჯახებს და ხალხის ცხოვრებას გაართულებს. ვერანაირ საბაბს ვერ ვხედავ ამ ქმედებების განსახორციელებლად. ამ მავთულხლართების აგება ცუდი ჩანაფიქრია. რაც შეეხება იმას თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ დაძაბულობა დაცხრეს, აღდგეს დიალოგი და ცხელი ხაზის დაბლოკვის საბაბი არ არსებობს, – განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა.

აშშ საქართველოს რეგიონების დეოკუპაციაში აქტიურდება

მარიამ მჭედლიშვილი

ვაშინგტონს თბილისში ელჩის მოვალეობის ახალი შემსრულებელი – როს ვილსონი ჰყავს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანთან შეხვედრისას ელჩობის მოვალეობის შემსრულებელმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. საუბრისას ხაზი გაესვა აშშ-ის, როგორც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის, როლს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაციის საქმეში.

მხარეებმა განიხილეს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავების პერსპექტივები.

ვაშინგტონის გააქტიურება სამხრეთ კავკასიაში თვალშისაცემია. თუ ვაშინგტონი რეალურად გააქტიურდება საქართველოს რეგიონების დეოკუპაციის მიმართულებით, ეს შეიძლება გარკვეული ძვრების დასაწყისი გახდეს, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა, არსებული ინფორმაციით, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კრემლისთვის პრიორიტეტი აღარაა.

ამის გამო წუხილს გამოთქვამენ რუსი ექსპერტები.

მათი შეფასებით, აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“, რომელთა „დამოუკიდებლობა“ მოსკოვმა 10 წლის წინ აღიარა, დღეს რუსეთის ინტერესებისა და საგარეო პოლიტიკის პერიფერიაზე მოექცნენ. ამ წარმონაქმნებთან ურთიერთობისა და მათი მომსახურებისთვის მოსკოვში ფართო ნომენკლატურაა შექმნილი, თუმცა ამას დიდი შედეგი ვერ მოაქვს. რუსეთში საკამათოა მათთვის ეკონომიკური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის საკითხი.

შეუწყვეტს თუ არა რუსეთი სუბსიდიებს სოხუმსა და ცხინვალს?

ექსპერტების აზრით, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნებისთვის უმთავრესი აღარ არის. მომავალ წელს მთავრდება აფხაზეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დახმარების საინვესტიციო პროგრამა. გაგრძელდება თუ არა ამგვარი დახმარება მომავალში, აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებზეა დამოკიდებული.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ ორი რეგიონის დახმარების პროგრამებში გაუმჭვირვალობა და კორუფციის ნიშნებია. საჭიროა კონტროლი. მთლიანობაში კი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანშები საშუალებას იძლევა, ამ რეგიონებში მწვავე ინფრასტრუქტურული კრიზისები დაიძლიოს.

აფხაზეთში ინფრასტრუქტურა მოშლილი და გაცვეთილია.

შეფერხებულია ამ რეგიონების „სახელმწიფოებრივი მშენებლობა“.

ექსპერტების აზრით, აფხაზეთში მთელი აქცენტი გადატანილია რუსეთის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების შესყიდვის უფლებაზე იმ დროს, როცა აფხაზებისთვის ეს კვლავინდებურად საგანგაშოა, რუსი ინვესტორები კი აფხაზეთის უძრავი ქონებით სულ უფრო ნაკლებად ინტერესდებიან. რუსეთის ბევრი მოქალაქე არ იცხოვრებს აფხაზეთში იმის გამო, რომ აქ არ არსებობს ნორმალური საცხოვრისი, მედიცინა, პროდუქტები ძვირი და უხარისხოა, დამნაშავეობა კი – მაღალი.

ექსპერტები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაძაბულობის მატებას ვარაუდობენ, ვინაიდან მომავალი წელი აფხაზეთისთვის საპრეზიდენტო არჩევნების წელია, ცხინვალის რეგიონისთვის კი – საპარლამენტო არჩევნების წელი. არჩევნები გაიმართება ეკონომიკური ვარდნის ფონზე. რუსეთიდან დახმარების გაგრძელების საკითხიც სათუოა.

რუსეთმა ოკუპირებული რეჟიმების შენახვაც რომ გააგრძელოს, ამ რეგიონების განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. იქ ვითარება უკვე უარესდება. ამის გამო აფხაზეთში შეინიშნება უკმაყოფილება რუსეთის მიმართ.

ნიკო ფიროსმანის „ბატკანი“ დამიანე ალანიას ოჯახს დაუბრუნდება

მსჯავრდებულ მზია შალვაშვილს უდანაშაულობა დაუმტკიცდა

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობით თბილისის სააპელაციო სასამართლომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისთვის დამნაშავედ ცნობილი მზია შალვაშვილი გაამართლა. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

„მზია შალვაშვილი 2012 წლის 5 ივნისის განაჩენით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი.

განაჩენის თანახმად, მან 2008-2009 წლებში, როგორც ანტიკვარული ნივთების სალონის ხელმძღვანელმა, მოქალაქე დამიანე ალანიას, რომელიც ნიკო ფიროსმანის ნამუშევარ „ბატკანს“ ფლობდა, ყალბი ოფიციალური ქვითარი დაუმზადა, თითქოს ამ უკანასკნელმა ფიროსმანის ნახატი მის სალონში შეიძინა, რითაც დამიანე ალანიას დაეხმარა, მოეხდინა უკანონოდ მოპოვებული ქონების მისაკუთრება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მზია შალვაშვილს 1 წელი პირობითი მსჯავრი განესაზღვრა, ხოლო ფერწერული ნამუშევარი სახელმწიფოს გადაეცა.

ახალი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოძიებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 ოქტომბერს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენით მსჯავრდებულ მზია შალვაშვილის უდანაშაულობა დადასტურდა და ახალი გარემოებები გამოირკვა, რომლებითაც ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის წარმომავლობის კანონიერება დასტურდება.

შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ფერწერული ნამუშევარი „ბატკანი“ მესაკუთრის ოჯახს დაუბრუნდება“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ფრანსუა პეჰშო ლარის კურსის მერყეობის რამდენიმე ფაქტორს ასახელებს

– ბუნებრივია, რომ გაცვლითი კურსი მერყეობს. ასეც უნდა იყოს. ის ასახავს იმ ცვლილებებს, რაც ეკონომიკაში ხდება“, – ასე უპასუხა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ფრანსუა პეჰშომ „ანალიტიკის“ შეკითხვას – თუკი კურსის მერყეობას ის უარყოფითი მოვლენები ქმნის, რომლებიც თან ახლავს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს და ეს ფაქტორი ერთჯერადია, მაშინ რატომ არ არის გამართლებული საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ადეკვატური ინტერვენცია.

ფრანსუა პეჰშოს მიაჩნია, რომ მოლოდინები არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც დღეს კურსის მერყეობაზე მოქმედებს.

– მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის საგადასახადო ბალანსის ვითარება, გარე შოკები, გაურკვევლობა, მოლოდინები და დოლარის გლობალურ გამყარება. ეს სულ მცირე, რაც ახლავე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, – ამბობს პეჰშო.

მისივე თქმით, IMF-ს მიაჩნია, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს მცურავი კურსი.

– საქართველოს აქვს მოქნილი სავალუტო კურსით შოკების გავლენის შემცირების გამოცდილება, – ასეთია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენლის პოზიცია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მცურავი გაცვლითი კურსი 1997 წლიდან ამოქმედდა. მცურავი რეჟიმის პირობებში ვალუტის კურსს მთლიანად განსაზღვრავს სავალუტო ბაზარი, რომელიც კომერციული ბანკებისგან და იმ სხვა პირებისგან შედგება, ვისაც უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა აინტერესებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი თვლის, რომ თუ ქვეყანაში გაცვლითი კურსი ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად ყალიბდება, ასეთი ქვეყანა ფინანსურად უფრო დაცულია, რადგან გაცვლითი კურსის მოკლევადიანი მერყეობები ეკონომიკას ეხმარება შოკების დაძლევაში, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კურსი იბრუნებს სტაბილურობას. **BM**

კობა გვენეტაძე: „სავალუტო რეზერვები არ არის ადეკვატურ დონეზე“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ კობა გვენეტაძის განცხადებით, საერთაშორისო რეზერვების შესავსებად სებ-ი ინტერვენციებს მომავალშიც გააგრძელებს.

ამის შესახებ გვენეტაძემ ჟურნალისტებს 9 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე 10 მლნ დოლარის შესყიდვის მიზეზებთან დაკავშირებით განუცხადა.

მთავარი ბანკირი აცხადებს, რომ სებ-ის სავალუტო რეზერვები ადეკვატურ დონეზე არაა.

– ჩვენ ეს ადრეც ბევრჯერ გაგვიკეთებია; მე თავადაც განმიცხადებია, რომ ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები არ არის ადეკვატურ დონეზე და ამიტომ, როდესაც ბაზარი ამის საშუალებას მოგვცემს, ჩვენ ყოველთვის შევისყიდით უცხოურ ვალუტას იმისთვის, რომ ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები შევავსოთ, – განაცხადა გვენეტაძემ და დასძინა, რომ მსგავსი ინტერვენციები მომავალშიც იქნება.

„ისევ და ისევ რეზერვების გასაზრდელად“, – აღნიშნა მთავარმა ბანკირმა.

სებ-ის ინტერვენციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ფინანსთა მინისტრმაც.

ვანო მაჭავარიანის განცხადებით, „IMF დაჟინებით ითხოვს სებ-ისგან, რომ ყოველწლიურად განახორციელოს რეზერვების შევსება“.

– საქართველოს ეროვნული ბანკი მოიქცა ისე, როგორც ამ შემთხვევაში ევალება ეროვნულ ბანკს ანუ ის პერიოდულად ავსებს სავალუტო რეზერვებს. ჩვენი სავალუტო რეზერვი არის იმაზე ბევრად ნაკლები, ვიდრე ჩვენი დონის ეკონომიკას შეესატყვისება. თქვენ შეგიძლიათ, ასევე წაიკითხოთ და მოისმინოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ამასთან მიმართებით; ისინი (IMF) დაჟინებით ითხოვენ ეროვნული ბანკისგან, რომ ყოველწლიურად განახორციელოს რეზერვების შევსება და ალბათ ამ შევსებისთვის გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი იყო ეს, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. **ბიემჯი**

ნივთები, რომლებზეც ყადაღის დადება დაუშვებელია

მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებში იძულებითი აღსრულების მიზნებისათვის შესაძლებელია მის უძრავ თუ მოძრავ ქონებას ყადაღა დაედოს. ყადაღის დადება კი მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების დადების აკრძალვას ან/და ქონების შესანახად გადაცემას ნიშნავს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყადაღის დადება მესაკუთრისთვის ყოველთვის დაკავშირებულია უარყოფით შედეგთან, რადგან მას ეზღუდება მის საკუთრებაში არსებული ქონების თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა.

თუმცა, როგორც საადვოკატო ბიურო OK&CG-ში განმარტავენ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ ნივთების ჩამონათვალი, რომლებზეც ყადაღის დადება დაუშვებელია. კერძოდ, OK&CG-ს იურისტების განცხადებით, ყადაღას არ ექვემდებარება:

სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დახმარება, მათ შორის, საარსებო შემწეობა;

იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის ქონება, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელიც საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ნივთებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაუშვებელია სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის ქონებაზე ყადაღის დადება, გარდა იმ ნივთებისა, რომელიც მათ მიერ დატვირთულია გირავნობით;

პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისთვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის; მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;

წვრილფეხა საქონელი შეზღუდული რაოდენობით, ასევე ერთი მეწველი ძროხა, ან მოვალის არჩევანით – ორი ღორი, ცხვარი ან თხა, თუ ისინი აუცილებელია მოვალის, მისი ოჯახის ან მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსაკვებად; ასევე სამი თვის სამყოფი პირუტყვის საკვების და ნამჯის მარაგი, ან თუ ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შეძენა ამ დროისათვის სხვა გზით არ არის უზრუნველყოფილი, მათ შესაძენად საჭირო ფულადი თანხა;

პირებისთვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყოიარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახის და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;

პირებისთვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.

– როდესაც მესამე პირი ამტკიცებს, რომ მოძრავი ქონება წარმოადგენს არა მოვალის, არამედ მის საკუთრებას, მას შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში ქონების ყადაღისგან გათავისუფლების მოთხოვნით მოვალისა და კრედიტორის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით ყადაღისგან გათავისუფლება ეხება საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალს.

ვალდებულების იძულებითი აღსრულების მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს შრომითი ანაზღაურებიდან (ხელფასიდან) თანხის დაქვითვა. მიუხედავად ამისა, აღმასრულებელს არ აქვს უფლება მოვალეს ხელფასიდან ერთჯერადად შრომითი ანაზღაურების 50%-ზე მეტი ოდენობის თანხა დაუქვითოს, – განმარტავენ იურისტები. **„ბიზნესპრესნიუსი“**

ბიზნესიდან პოლიტიკაში – რა ქონებას ფლობს კიდევ ერთი მილიონერი დეპუტატი

საქართველოს პარლამენტში 150 დეპუტატია, რომელთა ნაწილი საკანონმდებლო ორგანოში ბიზნესიდან მოხვდა.

მათ შორის ერთ-ერთია თეიმურაზ კოხრეიძე, რომელიც „პეტროკასის“ ვიცე-პრეზიდენტი იყო, თუმცა, არა საქართველოში რეგისტრირებულის. როგორც თავად კოხრეიძე აღნიშნავდა, ის იყო იმ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც უცხოეთშია და საქართველოში ქართული „პეტროკას ენერჯი ჯგუფი“ ჰყავს რეგისტრირებული.

„პეტროკას ენერჯი ლიმიტედი“ საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიაა, რომელიც ახორციელებს საწვავის ექსპორტს ევროპიდან და მას საქართველოში მოქმედ ბენზინგასამართი სადგურების სხვა ქსელებს აწვდის.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რა ქონებას ფლობს დეპუტატი. მის მიერ 2017 წლის 18 დეკემბერს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში არ არის მითითებული, თუ რა შემოსავალი აქვს მიღებული კოხრეიძეს კომპანიის ვიცეპრეზიდენტობისას. მაგრამ, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, 2016 წელს მისმა შემოსავალმა „პეტროკას ენერჯი ჯორჯიას“ კონსულტანტად მუშაობისას – 59.091,25 ლარი; ხოლო „არგოტრანს ჯორჯიაში“ კონსულტანტობის პერიოდში 68.660,69 ლარი შეადგინა. ამასთან, პარლამენტის წევრობისას 2016 წლის 18 ნოემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში დეპუტატმა 6.937,55 ლარის შემოსავალი მიიღო.

რაც შეეხება მის ქონებრივ მდგომარეობას, დეპუტატი ფლობს 67,6 კვადრატული მეტრი ფართობის, 67,6 კვ. მეტრისა და 150 კვ. მეტრი ფართობის სამ ბინას თბილისში; ასევე 12 და 14 კვადრატული მეტრის ორ ავტოფარეხს.

გარდა ამისა, თეიმურაზ კოხრეიძეს ეკუთვნის Oshil int.corp.-ს 10.000 აქცია, რომელიც 2016 წელს 10.000 დოლარად აქვს შეძენილი.

რაც შეეხება დეპუტატის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში კოხრეიძეს სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე 1.440.919,39 დოლარი; 23.105,38 ლარი; ნაღდი ფულადი თანხის სახით კი 140.000 დოლარი და 30.000 ლარი ჰქონდა.

ამასთან, როგორც 2017 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული, დეპუტატის წლიურმა გასავალმა შეწირულობის სახით 55.000 ლარი შეადგინა. **BPN**

2018 წლის ცხრა თვეში საქართველოდან ექსპორტზე 2.2 ტონა ოქრო გავიდა

2018 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან 2.2 ტონა ოქროს ექსპორტი განხორციელდა.

აღნიშნული ინფორმაცია BM.GE-მ საქსტატიდან გამოითხოვა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ცხრა თვის მონაცემებით, ოქრო (დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული) საქართველოს ტოპ-10 საექსპორტო სასაქონლო ჯგუფში მოხვდა.

იანვარ-სექტემბერში 2.2 ტონა ოქროს ექსპორტიდან ქვეყანამ 56.1 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო.

საქართველოდან ოქროს ექსპორტი ძირითადად შვეიცარიაში განხორციელდა; 2.5 მლნ დოლარის ღირებულების ოქრო გავიდა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ხოლო თურქეთში ოქროს ექსპორტიდან ქვეყანამ 1.1 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო.

ცნობისთვის: 2017 წელს საქართველოდან 71 მლნ დოლარის დაუმუშავებული და ნახევრად დამუშავებული 3 ტონა ოქროს ექსპორტი განხორციელდა.

ჯონი გიგანი: „მანქანა ბადრი პატარკაციშვილის უსაფრთხოების უფროსმა ამიფეთქა“

რა მოხდა 15 წლის წინ

ბიზნესმენი ჯონი გიგანი 15 წლის წინ თავისი მანქანის აფეთქებას იხსენებს და საქართველოს მთავარ პროკურატურას საქმის თავიდან გამოძიებას სთხოვს.

შპს „მორკინალის“ მფლობელის მტკიცებით, ავტომობილი ბადრი პატარკაციშვილის უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა აუფეთქა. ამის მიზეზად კი საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ასახელებს, რომელშიც მაშინ წილის 90 პროცენტს ფლობდა. როგორც ამბობს, სწორედ აქ გადაიკვეთა მისი, პატარკაციშვილისა და კახა თარგამაძის ინტერესები.

ბიზნესმენის ვარაუდით, თარგამაძე და პატარკაციშვილი მის წინააღმდეგ ერთად მოქმედებდნენ. გიგანი ყვება, რომ 2001 წელს რამდენიმე მილიონის სანაცვლოდ კახა თარგამაძემ, როგორც შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა, ბადრი პატარკაციშვილთან ხელშეკრულება გააფორმა, რის საფუძველზეც სამინისტროს 10-პროცენტიანი წილი და ხელახლა რეგისტრირებული „დინამო თბილისი“ პატარკაციშვილის საკუთრება გახდა. მანქანა კი, მისი აზრით, მას შემდეგ აუფეთქეს, რაც საფეხბურთო კლუბის დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყო.

ტოიოტას მარკის ჯიპი სპორტის სასახლესთან 2003 წლის 8 მაისს ააფეთქეს. აფეთქებულ მანქანასთან რამდენიმე წუთში ალექსანდრე მაისურაძე მივიდა. იგი ადგილზე დააკავეს.

ბიზნესმენის მანქანის აფეთქების საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებდა. საგამოძიებო ნაწილის მაშინდელი ხელმძღვანელი იხსენებს, რომ ბრალდებულის სახლიდან დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა და ორ კილომდე ტროტილი ამოიღეს. ვალერი გრიგალაშვილის შეფასებით, უზენაეს სასამართლოს უტყუარი მტკიცებულებები წარუდგინეს, თუმცა მოსამართლემ არ გაიზიარა და არც საქმე დააბრუნა ხელახლა ძიებაში.

ბიზნესმენის განზრახ მკვლელობის მცდელობის ნაწილში ალექსანდრე მაისურაძე მოსამართლე მერაბ ტურავამ გაამართლა.

მერაბ ტურავა 2003 წლის რევოლუციის შემდეგ სასამართლო სისტემიდან გაუშვეს. მოსამართლის საქმიანობას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაუბრუნდა და ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა.

აფეთქებასთან ალექსანდრე მაისურაძის კავშირს გამორიცხავს მისი ადვოკატი. უფლებადამცველი ამბობს, რომ საქმეში არ იყო მაისურაძის ბრალეულობის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები.

გიგანს მანქანა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს აუფეთქეს.

რუსთავი 2

სომხეთში კანონიერი ქურდი მერაბ კალაშოვი დააკავეს

სომხეთის პოლიციამ 43 წლის კანონიერი ქურდი მერაბ კალაშოვი დააკავა, რომელიც 2015 წლიდან საფრანგეთის მიერ იძებნებოდა.

მას დანაშაულებრივი გზით ქონების მოპოვებასა და ფულის გათეთრებას ედავებოდნენ.

სომხეთის გენერალურმა პროკურატურამ უკვე შეატყობინა ინტერპოლს საერთაშორისო ძებნილის აღმოჩენისა და დაკავების შესახებ.

კალაშოვს კრიმინალურ წრეებში მერაბ თბილისსკის სახელით იცნობენ.

კასრისწყალში სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობები დაარბიეს

10 ნოემბერს, გვიან ღამით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალში სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობა გატეხეს.

დამნაშავემ გატეხით შიგნით შეღწევა მოახერხა. გატეხილია სამასწავლებლოს კარიც.

როგორც სკოლის დირექტორმა გიორგი ბუღრიძემ განაცხადა, დამტვრეულია სკოლის ინვენტარი და განადგურებულია სასწავლო მასალა.

– სკოლა და საბავშვო ბაღი ერთ შენობაშია. ესაა ვანდალიზმი, განადგურებულია ინვენტარი, მოპარულია თუ არა რამე, ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ პრაქტიკულად ინვენტარი ისეთ დღეშია, მისი გამოყენება შეუძლებელია, – ამბობს სკოლის დირექტორი.

განადგურებულია სამზარეულო და მოპარულია სკოლის კუთვნილი დაჭრილი შეშის ნაწილი.

გუშინ, 11 ნოემბერს, პოლიციამ სავარაუდო დამნაშავე დააკავა.

ეჭვმიტანილი ადგილობრივი მკვიდრი, ეთნიკური აზერბაიჯანელია.

დამნაშავის გამოვლენა სკოლიდან ამოღებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერის მეშვეობით მოხერხდა.

მომხდარზე გამოძიება 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ფონიჭალაში 3 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით სამი პირი: 1981 წელს დაბადებული დ.წ., 1989 წელს დაბადებული ა.გ. და 1979 წელს დაბადებული თ.გ. ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, 3 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღეს, რაზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

ქუთაისში აფთიაქი გაძარცვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქუთაისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს. დაკავებულია წარსულში ნასამართლევი, 1985 წელს დაბადებული ზ.ფ.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ზ.ფ. ქუთაისში ერთ-ერთ აფთიაქს ყაჩაღურად თავს დაესხა და სალაროში არსებული თანხა გაიტაცა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ზ.ფ. ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ფულის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

შსს-მ სამეგრელოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული გ.ფ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულისგან ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 19 აბი ამოიღეს, რომელზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

აწყურთან მიკროავტობუსი მანქანას შეეჯახა

დაშავდა 8, დაიღუპა 1 ადამიანი

თბილისი-ახალციხის გზაზე, სოფელ აწყურთან, ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა.

ერთმანეთს სამგზავრო მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. გარდაცვლილია ერთი ადამიანი, დაშავებულია 8 პირი.

შსს-ს ინფორმაციით სისხლის სამართლის საქმე 276 მუხლის მე-5 ნაწილით არის აღძრული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

ბათუმში აჭარის სუს-ის უფროსის საცხოვრებელი ბინა გაქურდეს

ბათუმში აჭარის სუს-ის უფროსის საცხოვრებელი ბინა გაქურდეს.

ფარნავაზ მეფის 182 ნომერში მდებარე კორპუსიდან, სადაც ირაკლი ერისთავი, ოჯახთან ერთად, ცხოვრობს, წაღებულია ძვირფასი ნივთები, რომელთა საერთო ღირებულება 20 ათას ლარს აჭარბებს.

ნაციონალური მოძრაობის წევრი, გია ხალვაში, აცხადებს, რომ მძარცველი ადრე ნასამართლევი, სამართლებრივ დევნაში მყოფი ბათუმის მცხოვრებია.

– ერთ-ერთი კრიმინალი, რომელიც წარსულში ნასამართლევი იყო ბინის ქურდობებზე, პროკურატურას ჰყავდა დაკავებული, რომელზეც სპეციალურად, განზრახვით გაუშვეს წინასწარი დაკავების ვადები და იქნა განთავისუფლებული ეს პირი, მეტსახელად „ყარამანა“, რის შემდეგ ისევ მიმდინარეობდა სამართლებრივი დევნა ამ პირის მიმართ, რა დროსაც მას სპეციალურმა სამსახურმა ფარული მეთვალყურეობისათვის მიამაგრა თანამშრომლები და ამ თანამშრომლებს თავისი უფროსის სახლში შეეპარათ, გაუქურდა თავიანთი უფროსი და დღეს ისევ იქნა დაკავებული, – განაცხადა გია ხალვაშმა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა რუსეთის მოქალაქე პასუხისგებაში მისცა

საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ერთი პირი პასუხისგებაში მისცა.

ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ პასუხისგებაში რუსეთის მოქალაქეა მიცემული.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების – საქართველოს საბაჟო საზღვარზე, დიდი ოდენობით პროდუქციის საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადატანის მცდელობის ფაქტზე, ბრალდებულის სახით, რუსეთის ფედერაციის ერთი მოქალაქე პასუხისგებაში მისცეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საბაჟო-გამშვებ პუნქტ ყაზბეგის გავლით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე ცადა, რუსეთის მიმართულებით მალულად გადაეტანა დიდი ოდენობით არადეკლარირებული სხვადასხვა დასახელების პროდუქცია“, – ნათქვამია განცხადებაში.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 195 ერთეული სხვადასხვა დასახლების სუნამო, რომლის საბაჟო ღირებულება 17.559 ლარს შეადგენს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

☎ 230 62 52; 599 16 10 82

ჯალეიდოსკოპი

სერფერმა ზვიგენს დაფით სცემა

დიდი თეთრი ზვიგენი ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ბელინის მახლობლად თავს დაესხა მასწავლებელს.

43 წლის მამაკაცი პლაჟზე დილით ადრე მივიდა, რათა სამსახურში წასვლამდე წყალზე სერფინგის დაფით ესრიალა. დაახლოებით 2,6 მეტრი სიგრძის ზვიგენი მას მოულოდნელად გვერდიდან დაეჯახა, წყალში გადააგდო, შემდეგ კი კბილებით ფეხში ჩააფრინდა.

სერფერმა მტაცებელი თევზისგან თავის დაღწევა მოახერხა და ნაპირისკენ გაცურა, მაგრამ ზვიგენი მას არ ეშვებოდა.

– უკან მივიხედე და დავინახე, რომ ის ჩემკენ მოცურავდა. ვიფიქრე, რომ ჩემი საქმე წასული იყო, – განუცხადა მამაკაცმა ჟურნალისტებს.

მან სერფინგის დაფას დასტაცა ხელი და ის შუბივით აძგერა ზვიგენს, შემდეგ კი ისევ ნაპირისკენ გაცურა. მხოლოდ ნაპირზე ამოსვლის შემდეგ შენიშნა ფეხზე 20- სანტიმეტრიანი ჭრილობა, რომელიც მას ზვიგენის კბილებმა მიაყენა. მამაკაცმა დამოუკიდებლად შეძლო საავადმყოფომდე მისვლა და იქ სამედიცინო დახმარების მიღება.

ბრიტანელმა სიკვდილის შიშით 107 კილოგრამი დაიკლო

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა მაკსინ ვრენმა წონაში 107 კილოგრამი დაიკლო მას შემდეგ, რაც ექიმების არცთუ სახარბიელო პროგნოზი მოისმინა.

2013 წელს ექიმებმა 33 წლის ქალს, რომელიც იმ მომენტისთვის 176 კილოგრამს იწონიდა, განუცხადეს, რომ თუ ის თავისი ცხოვრების წესს არ შეცვლიდა ან კუჭის შუნტირებას არ გაიკეთებდა, ერთ წელიწადში მოკვდებოდა. ქალს ოპერაციის თაობაზე არცთუ მანუგეშებელ პროგნოზებს აძლევდნენ. ამიტომ მან გახდომის ცენტრს მიმართა. ამასთან, ვრენმა დის

ფეხმძიმობის შესახებ შეიტყო და გადაწყვიტა, რომ მისი სიკვდილი არ შეიძლებოდა ისე, რომ თავისი დისშვილი არ ენახა.

– მართალია, მსმენოდა იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც წონაში დაკლება შეძლეს, მაგრამ ძალიან მეშინოდა, განვიცდიდი იმას, რომ ყველა მე დამიწყებდა ყურებას და რომ ჩემს სიმძიმეს სასწორიც კი ვერ გაუძლებდა. მაგრამ ეს ჩემი ბოლო შანსი იყო, – აღიარა ქალმა. დიეტის პირველივე კვირას მან ხუთი კილოგრამი დაიკლო.

ვრენმა სამსახურში სახლიდან ჯანსაღი საჭმლის წაღება დაიწყო და უარი თქვა ფასტფუდზე. მან აღიარა, რომ მკურნალობის მიზნით არასოდეს უშიმშილია და ზოგჯერ ისეთ მავნებელ კერძსაც კი ჭამდა, როგორიც შაურმაა, ოღონდ – ცხიმგაცლილი პროდუქტებისგან დამზადებულს.

დიეტის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ ის ცოლად გაჰყვა მამაკაცს, რომელიც გახდომის დაწყების შემდეგ გაიცნო.

– სიტყვებით ვერ გადმოვცემ იმ გრძნობას, რომელსაც განვიცდიდი იმ მომენტში, როდესაც საკურთხevლისკენ მივდიოდი და ამ დროს იმაზე ორჯერ ნაკლებს ვიწონიდი, ვიდრე დიეტის დაწყებამდე ვიყავი, – განაცხადა ვრენმა.

ამჟამად ქალის წონა 65,5 კილოგრამს შეადგენს და ორგანიზაციამ, რომელიც ადამიანებს გახდომაში ეხმარება, ის წლის ქალად აღიარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ავსტრიელების ფლირტი პუტინთან დასრულდა

ავსტრიაში რუსი ჯაშუშის დაპატიმრება ევროპული მასშტაბის სენსაციად იქცა. დაკავებული ავსტრიის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკია და თადარიგში გასვლის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში იყო დასაქმებული. ავსტრიის კონტრდაზვერვის ცნობით, ის რუსებზე 1990 წლიდან მუშაობდა.

ავსტრიის ამჟამინდელი ხელისუფლება იმ ევროპულ ძალებს განეკუთვნება, რომლებიც რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს ფრიად უხალისოდ შეუერთდნენ. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარინ კნაისლმა დონბასის კონფლიქტსა და ყირიმის ანექსიაზე ფრიად ორიგინალური მოსაზრებები გამოთქვა. ერთი მხრივ, მან რუსეთის ქმედება დაგმო, მაგრამ შენიშნა, რომ ევროპა პრობლემას ცალსახად აღიქვამს, რაც მას მხოლოდ ზიანს აყენებს.

ავსტრიის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას. პუტინთანაც არაერთი შეხვედრა გაიმართა. პოლიტიკას ადამიანური ფაქტორიც დაემატა. რუსეთის პრეზიდენტი კნაისლის ქორწილში დაპატიჟეს. ვლადიმირ ვლადიმიროვიჩმაც პატარძალთან იცეკვა.

ჯაშუშურმა სკანდალმა ფრიად საინტერესო მომენტში იფეთქა. კნაისლი რუსეთში ვიზიტისთვის ემზადებოდა. მომხდარის შემდეგ ეს ჩაიშალა. ავსტრიის კანცლერმა სებასტიან კურცმა განაცხადა, რომ შპიონაჟი მიუღებელია.

ამან რუსული მხარის აღშფოთება გამოიწვია. ავსტრიის ელჩს რუსეთში გადაეცა სპეციალური ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსული სახელმწიფოს დადანაშაულება შპიონაჟში მიუღებელია. ამის გამო რუსებმა ოფიციალური პროტესტი გამოთქვეს.

მომხდარის შემდეგ ბევრი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ავსტრია-რუსეთის ფლირტი დასრულდა.

გერმანიაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოკვლას აპირებდნენ

გერმანელმა ძალოვნებმა გაშიფრეს სკანდალური სქემა, რომელსაც შეიარაღებული ძალებისა და სპეცრაზმის წარმომადგენლები ამზადებდნენ.

გერმანული მედიის ინფორმაციით, შეთქმულების ორგანიზატორები საგარეო საქმეთა მინისტრ ჰაიკო მაასის, ყოფილი პრეზიდენტის იოახიმ გაუკის, ასევე მემარცხენეთა ფრაქციისა და მწვანეთა პარტიის ლიდერების ლიკვიდაციას გეგმავდნენ.

ეს პოტენციური მსხვერპლის არასრული ჩამონათვალია.

ძალოვნებმა შეთქმულების მონაწილეთა საიდუმლო მიმოწერას მიაკვლიეს, სადაც ისინი კონკრეტულ თარიღს ასახელებდნენ და ლიკვიდაციის მიზნით პოლიტიკოსების ერთ ლოკაციაზე შეკრებას აპირებდნენ. მათ იარაღის სამალავებიც ჰქონდათ მომზადებული.

შეთქმულების ორგანიზატორების ვინაობა არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ მათ შორის სამხედრო დაზვერვის პოლკოვნიკიც იყო.

სკანდალურ ინფორმაციაზე ანგელა მერკელის ადმინისტრაცია კომენტარს არ აკეთებს.

ტერაქტი მელბურნში

მელბურნში ტერაქტი მოხდა. გაზის ბალონებით დატვირთული სატვირთო მანქანა სავაჭრო ცენტრს შეასკდა. ამის შემდეგ მძღოლი კაბინიდან გადმოხტა და გამვლელებს დანით დაერია.

შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა.

პოლიციამ ტერორისტს ცეცხლი გაუხსნა. ის მუცელში დაიჭრა და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ავსტრალიის პოლიცია მიიჩნევს, რომ მოხდა ტერაქტი და ამის უკან ისლამური სახელმწიფო დგას. სოციალური ქსელებით გავრცელდა განცხადება, სადაც ამ ტერორისტულმა ორგანიზაციამ მელბურნის აქციაზე პასუხისმგებლობა აიღო.

ტრამპი მაკრონს შეხვდა

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ აუცილებელია ერთიანი ევროპული არმიის შექმნა.

– რუსეთისა და ჩინეთისგან თავი უნდა დავიცვათ, – ამბობს მაკრონი.

დონალდ ტრამპმა ფრანგი კოლეგა ამ სიტყვებისთვის მკაცრად გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ არსებობს ნატო და ველოსიპედის ხელახლა გამოგონება არ არის აუცილებელი.

– სჯობს, ევროპელებმა ნატოს გაძლიერებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ, – განაცხადა ტრამპმა.

პარიზში ჩასული ტრამპი მაკრონმა მიიღო.

შეხვედრისას პრეზიდენტებმა კრიტიკისგან თავის შეიკავეს. ტრამპმა აღნიშნა, რომ აშშ-ევროპის თანამშრომლობის გაღრმავება ყველა სფეროშია აუცილებელი, განსაკუთრებით – თავდაცვაში.

მაკრონმა მიუგო, რომ რადგან ევროკავშირი შეიქმნა, ერთიანი ევროპის არმიაც უნდა ჩამოყალიბდეს.

თურქეთმა ჰაშოგთან დაკავშირებული ჩანაწერები მოკავშირეებს გადასცა

თურქეთმა ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი ამერიკელებს, გერმანელებს, ფრანგებსა და ინგლისელებს გადასცა.

საუბარია საუდის არაბეთის საკონსულოში საუბრების ჩანაწერებზე.

– ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა ამ ჩანაწერების შესახებ იციან, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, აღიარა, რომ საუდის არაბეთის საკონსულო რიგი ქვეყნების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. იქაური საუბრებიც კონტროლდებოდა.

ერდოღანი ეჭვქვეშ აყენებს საუდის არაბეთის ხელისუფლების ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმადაც, ჰაშოგის მკვლელობა ცალკეული პირების ინიციატივით მოხდა.

– დაკავებულებმა იციან, უშუალოდ ვისგან მიიღეს ბრძანება ან ვინ არის ამ მკვლელობის ორგანიზატორი, – თქვა ერდოღანმა.

თალიბანის დელეგაცია მოსკოვში მაინც ჩავიდა

მოსკოვში დასრულდა მოლაპარაკებები ავღანეთში სიტუაციის დარეგულირების გარშემო.

რუსეთის დედაქალაქში მოძრაობა თალიბანის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ, თუმცა რამდენიმე დღით ადრე მოსკოვში ჩასვლის შესაძლებლობას გამორიცხავდნენ.

თალიბანმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ მშვიდობის აღდგენის საქმეში მონაწილეობა მიიღოს. ამავე დროს, ავღანეთის ამჟამინდელ მთავრობასთან ყოველგვარი დიალოგის შესაძლებლობა გამორიცხა.

– ავღანეთის მთავრობა არალეგიტიმურია. ჩვენ მათ პატრონებთან, ანუ უშუალოდ აშშ-სთან გვინდა ლაპარაკი, – ამბობენ თალიბები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე მოძრაობა თალიბანი აკრძალულია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბორჯღალოსნების მარცხი იტალიასთან – 6 ერამდე დიდი გზაა

ბორჯღალოსნებმა იტალიის ნაკრებს „არტემიო ფრანკიზე“ ბრძოლა კი გაუმართეს, 2 ლელოც გაუტანეს, ერთი ამდენის გატანის შანსი ხელიდან გაუშვეს, მაგრამ მაინც ცუდად ითამაშეს და 28:17 დამარცხდნენ. „აძურიმ“ ჩვენი იმ შეცდომებით ისარგებლა, რომლებსაც მაღალ დონეზე მოთამაშე გუნდი არ პატიობს. პლუს მეტი გამოცდილება და დავინახეთ, რომ ჯერ ასეთი დონის გუნდებთან სათამაშოდ ბოლომდე მზად არ ვართ.

რადგან ამ თამაშს დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა, მონდომება და თავდადება არც ერთ გუნდს დაუკლია. თუმცა, მეტოქე გვჯობდა დერეფანსა და მოლში, ჩვენ შერკინებაში გვქონდა უპირატესობა და დასკვნით 20 წუთში იტალიელები თავის ნახევარზეც გამოვკეტეთ, მაგრამ მოსაგებად 2 ლელო რომ გვინდოდა, ჯარიმები კარში აღარ ვურტყით, თორემ სხვაობა შესაძლოა, უფრო მცირე ყოფილიყო. ეს ბევრს არაფერს შეცვლიდა, მაგრამ მაინც...

უნებლიე შეცდომები სწორედ მაღალი დონის თამაშების ნაკლებობის გამოძახილია, რისი დეფიციტიც ნელ-ნელა, თუმცა მაინც ივსება. ბორჯღალოსნები განვითარებისთვის უფრო მეტ ასეთ თამაშებს იმსახურებენ და იქნებ უკეთესი შედეგიც გამოჩნდეს.

ფლორენციაში საქართველოდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან 10.000-ზე მეტი ქართველი ქომაგი ჩავიდა, რომლებმაც მასპინძლების მოედნის უპირატესობა ნაწილობრივ გაბათილეს. ქართული დროშების ფერებში მოხატულმა, ჩვენი ეროვნული დროშებით აღჭურვილმა ქომაგებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს სარაგბო სამყაროში და მთელ მსოფლიოს დაანახეს, როგორ უყვართ რაგბი ჩვენს ქვეყანაში.

მატჩის წინა, სახელმწიფო ჰიმნებმა ცხადყო, რომ გუნდები სამკვდრო-სასიცოცხლო რკინისთვის ემზადებოდნენ და მოტივაცია არავის აკლდა. სასტარტო ნერვიულობის ფონზე 3 შეცდომა დავუშვით, რასაც მე-9 წუთზე ჯარიმა მოყვა და ტომაზო ალენმა ახლოდან ანგარიში გახსნა. პასუხად მე-14 წუთზე ფაზები ავკინძეთ, ორჯერ შევძელით უპირატესობის ხაზის გადაკვეთა და ორივეჯერ ჯარიმის უპირატესობა მივიღეთ, რის შემდეგაც კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი მეტოქის 22-ში, აუტში გადავიტანეთ. მოლს ჯაბა ბრეგვაძე მოსწყდა და დაარტყა, ამას მორკინალთა 2 სამეულის დარტყმა მოჰყვა, რაქიდან იერიშში თამაზ მჭედლიძე ჩაერთო, რომელმაც ხაზი გაჭრა, იტალიელთა დაცვის ბოლო ეშელონი ბრძოლით გადალახა და ლელოთი დაგვაწინაურა, ხოლო სოსო მათიაშვილმა გარდასახა – 7:3 ჩვენს სასარგებლოდ.

იტალიელებმა ტემპს უმატეს, ბურთის ფრთებზე ჩათამაშებით 12 ფაზა გადააბეს, რიცხობრივი უპირატესობა შექმნეს და მიკელე კამპანიაროს ლელო ალენმა გარდასახა. 25-ე წუთზე იტალია შერკინებაში დავაჯარიმეთ და მათიაშვილს წონასწორობის აღდგენის შანსი ჰქონდა, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა. მალე გიორგი ცუცქირიძე მეტოქეს ჰაერში უხეშად ეთამაშა და სინბინით დაისაჯა, რიცხობრივი უპირატესობა კი, „აძურიმ“ 8 ქულად აქცია.

თავდაპირველად იყო ეპიზოდი, როდესაც ლაშა ლომიძემ შემტევი ზედ ლელოს ხაზთან გააქვავა, ხოლო მომდევნო მომენტი გლენ ჯექსონმა ვიდეორეფერიზე გადაამოწმა და ლელო სამართლიანად გააუქმა. მასპინძლებმა ფრთებზე მეტობა კიდევ რამდენჯერმე შექმნეს, თუმცა თავგანწირული დაცვით მეტოქეს 20-ფაზიანი შეტევის შემდეგ ლელო არ გავატანინეთ და ისიც იძულებული გახდა, ჯარიმით აღებულ 3 ქულას დასჯერებოდა. მაგრამ ტაიმის მიწურულს იტალიამ მოახერხა უპირატესობის გამოყენება და მატია ბელინის მიერ ალამთან გატანილი ლელოს წყალობით ტაიმი 18:7 მოიგო.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძლების შეტევებით დაიწყო, მათ სწრაფად გაათამაშეს ბურთი და მესამე ლელო მიითვალეს. პასუხად ასევე ხელდახელ შევუტიეთ და მჭედლიძემ ფრთაზე მერაბ შარიქაძე გააქცუნა, ის 5-მეტრიან წყვეტილთან შეაჩერეს, მორკინალების დარტყმას ჯარიმა მოყვა, დერეფანს მოლი, მაგრამ წინსვლა ვერ მოხერხდა. 51-ე წუთზე იტალია შერკინებაში ერთხელაც დავაჯარიმეთ და მათიაშვილმა 40 მეტრიდან გაიტანა.

ტაიმის შუაში მოედნის ცენტრში დავკარგეთ ბურთი, რასაც სწრაფი კონტრშეტევა და ალენის ლელო მოყვა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა 43-ე წუთის შემდეგ, როდესაც იტალიამ ჩვენს ლელოსთან მიახლოვება მოახერხა. დარჩენილი დრო სრულად მეტოქის ნახევარზე, შეტევებში გავატარეთ და რომ არა პატარ-პატარა შეცდომები, 7-ზე მეტი ქულის აღება შეიძლებოდა. ის 7 ქულა 62-ე წუთზე ავიღეთ, როდესაც ხაზი გიორგი ცუცქირიძემ გაჭრა, მათიაშვილმა და ბექა გორგაძემ ბურთი სწრაფად ჩაათამაშეს გიორგი კვესელაძემდე, მან ბოლო მცველი აიყვანა და ბექა ბიწაძე ლელოს აუცილებლად დადებდა, მაგრამ ტომაზო ბენვენუტიმ ჯერ კიდევ ბურთის მიღებამდე შებოჭა. ეს ვიდეო რეფერიმ დააზუსტა და იტალია 7 საჯარიმო ქულით, ხოლო ბენვენუტი ყვითელი ბარათით დაისაჯა.

67-ე წუთზე სხვაობის კიდევ უფრო შემცირება შეიძლებოდა, თუმცა კარის წინ 25 მეტრიდან ჯარიმა დერეფანში გადავიტანეთ და მერე დავჯარიმდით. მალე ხაზი გორგაძემ გაჭრა და ბურთი შალვა სუთიაშვილს გაატანა, რომელიც ლელოში გელა აფრასიძეს უშვებდა, თუმცა მას ოვალი წინ დაუვარდა. დარჩენილი დროც შეტევებში, თუმცა უქულოდ გაილია და საფინალო სასტვენმა ურთიერთშეხვედრებში იტალიის მეოთხე გამარჯვება დააფიქსირა, საბრძოლო ანგარიშით – 28:17.

იტალიასთან ტესტ-მატჩში დამარცხების შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ გულშემატკივრებს ბოდიში მოუხადა.

მერაბ შარიქაძე:

– ძალიან რთული მატჩი იყო, იტალიამ კარგად ითამაშა. წაგების მიზეზი ისაა, რომ ჩვენი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ. ნათქვამიც მაქვს და ვიცოდით, ასეთ შეხვედრაში ასეთი შანსების გაფლანგვა არ შეიძლება. სამწუხაროდ გავფლანგეთ. ბოდიშს ვუხდი გულშემატკივარს, რომ ვერ გავახარეთ. დიდი მადლობა, რომ ამხელა გზაზე ჩამოვიდნენ და ბოლო წუთამდე გვიქომაგეს.

იტალიურმა გაზეთა დელო სპორტმა ტესტ-მატჩი მიმოიხილა და ნიშნისმოგებით აღნიშნა, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ არის მზად 6 ერში სათამაშოდ.

– საქართველოს ნაკრები მწვრთნელის, მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობითა და რაგბის ფედერაციის მხარდაჭერით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ 6 ერში თამაშის ღირსია, თუმცა დავინახეთ, რომ ამისათვის ჯერ აშკარად მზად არაა. ეს მატჩი ძალიან ჰგავდა 2003 წელს ჩატარებულ შეხვედრას. მაშინ 31:22 მოვიგეთ.

ახლა ბორჯღალოსნები შინ დაბრუნდებიან და თიბისი რაგბის სერიების მომდევნო 2 მატჩს თბილისში გამართავენ: 17 ნოემბერს „ავჭალაზე“ სამოასთან და 24 ნოემბერს „მიხეილ მესხზე“ ტონგასთან.

ზერმადინი ისევ საუკეთესოა

თორნიკე შენგელიასა და მეტ ჯენინგის ბასკონიამ ევროლიგაში მორიგი მარცხი იწვნია. ესპანურმა კლუბმა მოქმედ ჩემპიონს, სტამბოლის ფენერბაჰჩეს უმასპინძლა და დასანანი წაგება განიცადა. შეხვედრის ბედი ბოლო წუთზე გადაწყდა და

მასში აქტიური მონაწილეობა ზემოთ ხსენებულმა საქართველოს ნაკრების წევრებმა მიიღეს.

შენგელიას 2-ქულიანით ბასკონია მატჩის დასრულებამდე 1:40 წუთით ადრე 70:69 დაწინაურდა და ზუსტად ამ ანგარიშზე ჯენინგს სამქულიანით მატჩისთვის წერტილის დასმა შეძლო, მაგრამ ბოლო წუთზე მას სროლა გაუცუდდა და სტამბოლელებმა საჯარიმოებით ჯერ ლიდერობა დაიბრუნეს, შემდეგ კი, იმავე ჯენინგის არასპორტული ჯარიმის შემდეგ, 4 ქულით დაწინაურდნენ. საბოლოოდ 74:72 ფენერბაჰჩეს სასარგებლოდ.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 26 წუთში 15 ქულა, 5 მოხსნა (3 შეტევაში), 1 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. შენგელიამ 5-დან 4 ორქულიანი და 8-დან 7 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა. შედეგად, თოკოს სარგებლიანობის კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა და ის მხოლოდ თანაგუნდელ ილიმანე დიოპს ჩამორჩა, რომელმაც 17 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა.

ჯენინგმა 24 წუთში ბასკონიელებს 7 ქულა, 2 მოხსნა და 2 პასი შესძინა. მან 4-ვე საჯარიმო გამოიყენა, თუმცა, 11-დან მხოლოდ 1 სამქულიანი ჩააგდო.

ბასკონიას 6 მატჩში მხოლოდ 2 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრას კი მონტენეგროში აუტსაიდერ ბუდუჩნოსტის წინააღმდეგ გამართავს.

გიორგი შერმადინმა მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა ევროსარბიელზე. ესპანური უნიკახას ქართველმა ცენტრმა ულეების ევროთასზე მატჩში ლიეტუვას რიტასთან გუნდს ულიდერა. მასპინძლებმა მეტოქე 95:76 დაამარცხეს, ქართველი კალათბურთელი კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

გიორგი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 21 წუთში 23 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ჩვენებურმა 10-დან 9 ორქულიანი და 5-ვე საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, შერმადინის სარგებლიანობის კოეფიციენტი 29-ს გაუტოლდა, რაც მატჩის საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული წევრის, თად მაკფადენის ტენერიფე ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით ასპარეზობს და ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგო.

ტენერიფელებმა ბ ჯგუფის მორიგ ტურში ისრაელის უნეტ ჰოლონს უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით – 84:52 სძლიეს. მაკფადენი, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 21 წუთში 8 ქულა, 1 მოხსნა დ 2 პასი მიითვალა. თადმა 2-დან 1 ორქულიანი და 8-დან 2 სამქულიანი ჩააგდო.

ტენერიფელებს 5-დან 5 გამარჯვება აქვთ და ბ ჯგუფს ერთპიროვნულად ლიდერობენ. მომდევნო მატჩს ჩეხეთში ჯგუფში ბოლო ადგილზე მყოფ ოპავასთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შედეგები

10 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კარდიფი-ბრაიტონი	2:1
ლესტერი-ბარნლი	0:0
ნიუკასლი-ბორნმუთი	2:1
საუთჰემპტონი-უოტფორდი	1:1
ჰადერსფილდი-ვესტ ჰემი	1:1
კრ.პალასი-ტოტენჰემი	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	11	9	2	0	33-4	29
2.ჩელსი	11	8	3	0	27-8	27
3.ლივერპული	11	8	3	0	21-5	27
4.ტოტენჰემი	12	9	0	3	20-10	27
5.არსენალი	11	7	2	2	25-14	23
6.ბორნმუთი	12	6	2	4	21-16	20
7.უოტფორდი	12	6	2	4	17-14	20
8.მანჩესტერი	11	6	2	3	19-18	20
9.ევერტონი	11	5	3	3	19-15	18
10.ლესტერი	12	5	2	5	17-16	17
11.ვულვზი	11	4	3	4	11-12	15
12.ბრაიტონი	12	4	2	6	13-18	14
13.ვესტ ჰემი	12	3	3	6	14-18	12
14.ნიუკასლი	12	2	3	7	9-15	9
15.ბარნლი	12	2	3	7	12-25	9
16.კრ.პალასი	12	2	2	8	8-17	8
17.საუთჰემპტონი	12	1	5	6	8-21	8
18.კარდიფი	12	2	2	8	11-25	8
19.ჰადერსფილდი	12	1	4	7	6-22	7
20.ფულემი	11	1	2	8	11-29	5

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბირმინგემი-ჰალი	3:3
ბლექნერნი-როტერჰემი	1:1
ბოლტონი-სუონსი	0:1
ბრისტოლი-პრესტონი	0:1
დერბი-ასტონ ვილა	0:3
ქარ-ბრენტფორდი	3:2
მიდლსბრო-უიგანი	2:0
ნორვიჩი-მილუოლი	4:3
ნოტინგემი-სტოკი	0:0
რედინგი-იფსვიჩი	2:2
ვესტ ბრომვიჩი-ლიდსი	4:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ეიბარი	0:0
ხეტაფე-ვალენსია	0:1
ატლეტიკო-ბილბაო	3:2
ხირონა-ლეგანესი	0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	11	7	3	1	31:14	24
2.ატლეტიკო	12	6	5	1	16:8	23
3.ესპანიოლი	11	6	3	2	15:8	21
4.სევილია	11	6	2	3	22:13	20
5.ალავესი	11	6	2	3	15:11	20
6.რეალი	11	5	2	4	16:14	17
7.ვალიადოლიდი	12	4	5	3	9:9	17
8.ლევანტე	12	5	2	5	18:19	17
9.ხირონა	12	4	5	3	13:14	17
10.სოსიედადი	12	4	4	4	15:14	16
11.ხეტაფე	12	4	4	4	11:10	16
12.ეიბარი	12	4	3	5	12:18	15
13.სელტა	11	3	5	3	20:16	14
14.ვალენსია	12	2	8	2	8:9	14
15.ბეტისი	11	3	4	4	8:12	13
16.ვილიარეალი	11	2	4	5	9:11	10
17.ბილბაო	12	1	7	4	13:19	10
18.ლეგანესი	12	2	4	6	9:16	10
19.რაიო	11	1	3	7	12:23	6
20.უესკა	11	1	3	7	9:23	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კადისი-რეუსი	2:0
ლუგო-არკორკონი	0:1
ესტრემადურა-ოსასუნა	2:3

გერმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-გლადბახი	1:3
ნიურნბერგი-შტუტგარტი	0:2
ფორტუნა-ჰერტა	4:1
ფრაიბურგი-მაინცი	1:3
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი	2:1
დორტმუნდი-ბაიერნი	3:2

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	11	8	3	0	33:12	27
2.გლადბახი	11	7	2	2	26:13	23
3.ბაიერნი	11	6	2	3	20:14	20
4.ლაიპციგი	10	5	4	1	19:9	19
5.ჰოფენჰაიმი	11	6	1	4	24:15	19
6.აინტრახტი	10	5	2	3	23:13	17
7.ვერდერი	11	5	2	4	19:19	17
8.ჰერტა	11	4	4	3	16:17	16
9.მაინცი	11	4	3	4	10:12	15
10.აუგსბურგი	11	3	4	4	19:18	13
11.ფრაინურგი	11	3	4	4	15:19	13
12.ვოლფბურგი	11	3	3	5	15:17	12
13.ლევერკუზენი	10	3	2	5	16:21	11
14.შალკე	10	3	1	6	8:12	10
15.ნიურნბერგი	11	2	4	5	11:24	10
16.ჰანოვერი	11	2	3	6	14:22	9
17.ფორტუნა	11	2	2	7	10:25	8
18.შტუტგარტი	11	2	2	7	8:24	8

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კიოლნი-დინამო	8:1
ზ.პაული-ჰაიდენჰაიმი	1:1
აუე-ჰამბურგი	1:3

იტალია. სერია ა

ტორინო-პარმა	1:2
სპალი-კალიარი	2:2
ჯენოა-ნაპოლი	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	11	10	1	0	24:8	31
2.ნაპოლი	12	9	1	2	26:13	28
3.ინტერი	11	8	1	2	21:6	25
4.მილანი	11	6	3	2	21:14	21
5.ლაციო	11	7	0	4	17:13	21
6.სასუოლო	11	5	3	3	19:16	18
7.ფიორენტინა	12	4	5	3	18:10	17
8.ტორინო	12	4	5	3	17:15	17
9.პარმა	12	5	2	5	12:15	17
10.რომა	11	4	4	3	18:14	16
11.ატალანტა	11	4	3	4	19:13	15
12.სამპდორია	11	4	3	4	15:11	15
13.კალიარი	12	3	5	4	12:16	14
14.ჯენოა	12	4	2	6	17:26	14
15.სპალი	12	4	1	7	11:19	13
16.უდინეზე	11	2	3	6	10:16	9
17.ბოლონია	11	2	3	6	9:16	9
18.ფროზინონე	12	1	4	7	10:25	7
19.ემპოლი	11	1	3	7	10:20	6
20.კიევო	11	0	2	9	8:28	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ასკოლი-პადოვა	2:3
კარპი-ბენევენტო	2:2
კრემონეზე-ლივორნო	1:0
სალერნიტანა-სპეცია	1:0
კოზენცა-ლეჩე	2:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

გენგამი-ლიონი	2:4
ანჟე-მონპელიე	1:0
ნიმი-ნიცა	0:1
სტ.ეტიენი-რეიმსი	2:0
ტულუზა-ამიენი	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	12	12	0	0	41:7	36
2.ლილი	13	8	2	3	21:10	26
3.მონპელიე	13	7	4	2	20:8	25
4.ლიონი	13	7	3	3	23:16	24
5.სტ.ეტიენი	13	6	5	2	19:17	23
6.ნიცა	13	6	2	5	10:14	20
7.მარსელი	12	6	1	5	22:21	19
8.სტრასბური	13	4	6	3	20:16	18
9.რეიმსი	13	4	5	4	8:12	17
10.ნანტი	12	4	3	5	19:17	15
11.ბორდო	12	4	3	5	14:15	15
12.ანჟე	13	4	3	6	17:19	15
13.რენი	12	4	3	5	15:18	15
14.ნიმი	13	3	5	5	18:20	14
15.ტულუზა	13	3	5	5	11:21	14
16.ამიენი	13	4	1	8	13:21	13
17.კაენი	12	2	5	5	11:16	11
18.დიჟონი	12	3	2	7	12:21	11
19.მონაკო	12	1	4	7	12:18	7
20.გენგამი	13	1	4	8	9:28	7

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ვალანსიენი-ლანსი	4:2

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ემენი-ბრედა	2:0
ვიტესი-უტრეხტი	2:1
გრაფსხაი-პსვ	1:4
ვენლო-სიტარდი	3:2

პორტუგალია. პრიმერა ლიგა

ავეში-რიუ ავე	2:1
ბელენენსეში-ბოავიშტა	0:0
ნასიონალი-მარიტიმუ	1:0
პორტუ-ბრაგა	1:0

ხუსეთი. სუპერლიგა

ურალი-ორენბურგი	2:1
კრილია-ახმატი	1:2
როსტოვი-დინამო	0:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-ლუცერნი	1:4
თუნი-ბაზელი	4:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.ჯონსონი-ჰამილტონი	4:0
დანდი-სტ.მირენი	1:1
ჰართსი-კილმანროკი	0:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-ალტახი	1:0
ლინცერი-ადმირა	5:1
შტურმი-სტ.პოლენი	0:0

ბელგია. 1 ლიგა

შარლერუა-ბრიუგე	2:1
ვარეგემი-ლოკერენი	2:0
ეუპენი-სტ.ტრუიდენი	1:4

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-იანინა	2:0
ქსანთი-პანიონიოსი	0:1
ლევადიაკოსი-ოფი	2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ერზრუმი-გიოზთეფე	2:1
ქონია-ანკარაგიუჯიუ	2:0
რიზე-ბაშქშეჰირი	1:2
ქაისერი-გალათასარაი	0:3

ჩეხეთი. 1 ლიგა

კარვინა-სპარტა	1:3
სლოვაცკო-ლიბერეცი	0:1

ჰოლონეთი. ექსტრალიგა

პლოცკი-სოსნოვეცი	2:0
ლეხია-კრაკოვია	1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ლვოვი-ოლიმპიკი	1:1
დესნა-ჩერნომორეცი	2:0
ზორია-კარპატი	2:1
არსენალი-ოლექსანდრია	0:3

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-სონდერიისკე	1:1

იაპონელმა რამდენიმე კვირა გარდაცვლილ დედასთან ერთად გაატარა

იაპონელი რამდენიმე კვირის განმავლობაში გარდაცვლილი დედის ცხედართან ერთად ერთ ოთახში ცხოვრობდა, ვინაიდან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ინციდენტი კანაგავას პრეფექტურის დედაქალაქ იოკოგამაში მოხდა. პოლიციელებმა დააპატიმრეს 49 წლის უმუშევარი მამაკაცი და მას ბრალად დასდეს, რომ გარდაცვლილზე სათანადოდ არ იზრუნა. მათ გაარკვიეს, რომ 76 წლის ქალი დაახლოებით ოქტომბრის შუა რიცხვებში საკუთარი ბინის სამზარეულოში გარდაიცვალა. მისმა სხეულმა გახრწნა დაიწყო, როდესაც მამაკაცმა ის საძინებელ ოთახში გადაიტანა.

ქალის ცხედარი მისმა 45 წლის ქალიშვილმა რამდენიმე დღის წინ აღმოაჩინა, როდესაც დედასთან სტუმრად ჩავიდა. მან ამის შემდეგ პოლიციას მიმართა. მეორე დღეს მისი ძმა დააპატიმრეს. სამართალდამცავებმა ის დაახასიათეს, როგორც ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ ეხერხება ადამიანებთან საუბარი. მამაკაცმა საუბარზე უარი განაცხადა და ქაღალდზე დაწერა: „დედის გარდაცვალების შემდეგ ვერაფერს ვაკეთებდი და ამიტომ გადავწყვიტე, დის ჩამოსვლად დავლოდებოდი“.

ქალს სხეულზე ძალადობის ნიშნები არ ეტყობა. პოლიცია დარწმუნებულია, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი ავადმყოფობა ან, უბრალოდ, სიბერე გახდა.

დედა ჟირაფმა თავისი ნაშიერი გიენებისგან დაიცვა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნული პარკის ტურისტები გიენების პატარა ფეხმოტეხილ ჟირაფზე თავდასხმის მცდელობის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოს ავტორის თქმით, გიენები დიდი ხნის განმავლობაში უთვალთვალებდნენ პატარა ჟირაფს.

– მალევე შევნიშნე, რომ ის გამუდმებით უთვალთვალებდა გიენებს, რომლებიც მას უკან მიჰყვებოდნენ, – აცხადებს ვიდეოს ავტორი, – თითქმის ყველასთვისაა ცნობილი, რომ ისინი სუსტ და დაჭრილ ცხოველებს ესხმიან თავს. მათთვის ეს კოჭლი პატარა ჟირაფი იმ ზარივით იყო, რომელიც სადილობისკენ იხმობს.

ერთ-ერთი გიენა პატარა ჟირაფთან სულ ახლოს მივიდა, მაგრამ თავდასხმა ვერ გაბედა, ვინაიდან იქვე ახლოს დიდი ჟირაფიც იმყოფებოდა. მტაცებლებმა თავდასხმა კიდევ ერთხელ მაშინ ცადეს, როდესაც დედა ჟირაფი თავის ნაშიერს 50 მეტრით დაშორდა.

– მოულოდნელად ბუჩქებიდან ორი გიენა გამოვარდა და პატარა ჟირაფს მივარდა. ის შეშინდა და სამ ფეხზე გაიქცა, – აღნიშნა ვიდეოს ავტორმა.

დედა ჟირაფმა ეს ყოველივე შენიშნა და შვილისკენ გაქანდა. მან დროულად მიუსწრო და მტაცებლები დააფრთხო. მის დანახვაზე გიენებმა უკან დაიხიეს და ბუჩქნარს შეაფარეს თავი.

მონადირემ ყველაზე გრძელი პითონი მარტოდმარტომ მოკლა

ამერიკის ფლორიდის შტატის მაიამი-დეიდის ოლქში რეკორდული ზომის მუქი ფერის ვეფხვისებური პითონი მოკლეს.

ქვეწარმავლის სიგრძე 5,3 მეტრს აღწევდა, ხოლო წონამ 54 კილოგრამი შეადგინა. ასეთი დიდი პითონი სამხრეთ ფლორიდაში პირველად მოკლეს. პითონების განადგურების პროგრამის არსებობის განმავლობაში მხოლოდ სამი რეპტილია იქნა მოკლული, რომელთა სიგრძე 5 მეტრს აღემატებოდა.

რეკორდული ზომის პითონის მოკვლა ქალაქ ჰომსტედის მკვიდრმა კაილი პენისტონმა მოახერხა. აღსანიშნავია, რომ ამის გაკეთება მან მარტომ, სხვის დაუხმარებლად შეძლო. ეს მის ანგარიშზე უკვე 235-ე გველია. მასზე მეტი ქვეწარმავალი მხოლოდ მაიმელ ბრაიან ჰარგროვუს ჰყავს მოკლული. მის ანგარიშზე 257 მოკლული ქვეწარმავალია.

სირიელებმა მასობრივი ქორწილი გამართეს

სირიის ქალაქ ლატაკიაში ერთდროულად 550-მა წყვილმა იქორწინა. ამის შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთმა ადგილობრივმა სააგენტომ გაავრცელა.

ქორწილის ცერემონიალი ქალაქის ერთ-ერთ სადღესასწაულო დარბაზში გაიმართა. 1100 ახლად დაქორწინებულთა შორის იყვნენ სირიის არმიის სამხედროები და ომში დაჭრილები.

აღნიშნული აქცია უკვე მეექვსედ გაიმართა. წინა ჯერზე 1494-მა ადამიანმა იქორწინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საბურთალო საქმეს თავად ირთულებს

ლოკომოტივი-საბურთალო 1:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ცნობილაძე (41), 1:1 შონია (89პ)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ქურდაძე, ჭანტურია, შონია, გვალია (ინჯგია 56), გავაშელიშვილი, დავითაშვილი (ჯიქია 75), გაბაძე, უბილავა, სამურკასოვი, არდაზიშვილი (კიკაბიძე 83).

საბურთალო: კუპატაძე, ჩაბრაძე, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი, ცნობილაძე, დიასამიძე (ალთუნაშვილი 81), გორგიაშვილი, ვაგნერი, გოშთელიანი (ვოლკოვი 64), კოხრეიძე (დვალიშვილი 75).

ფრედ, 1:1 დასრულდა თბილისური დერბი ლოკომოტივსა და საბურთალოს შორის. საბურთალოელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ, როგორც სათამაშო, ასევე ტერიტორიულ უპირატესობას. პირველ ტაიმში დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ 89-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმიდან „ვაკელებმა“ წონასწორობა აღადგინეს.

პირველი ნახევარი გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა ძალიან მაღალ დონეზე ითამაშეს, ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. კარგი შეხვედრა ჩაატარა დაჩი ცნობილაძემ, რომელმაც გოლის გარდა, ძალიან ბევრი იშრომა. დიასამიძე-გორგიაშვილის დუეტიც ბევრ პრობლემებს უქმნიდა მეტოქეს. ლოკომოტიველებმა პირველ ნახევარში ერთადერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი ტაიმის შუაში შექმნეს, მაგრამ დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა საბურთალოს კარს. 41-ე წუთზე კი გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა – ვაგნერის საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ, ცნობილაძემ თავური დარტყმით შეარხია ლოკომოტივის კარის ბადე.

მეორე ნახევარი ორმხრივ იერიშებში წარიმართა: 2 ეპიზოდში „ვაკელებმა“ დამამთავრებელ ფაზაში ვერ ივარგეს. გოლის გატანასთან ძალიან ახლოს იყო ვლადიმერ დვალიშვილიც, რომლის დარტყმული ბურთი მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. ამ შეტევის შემდეგ, მასპინძლებმა შეტევა განახორციელეს და თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს. გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი ხელიდან თეიმურაზ შონიამ არ გაუშვა. საბოლოოდ 1:1.

დილა-კოლხეთი 1:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 მიკოლა კოვტალიუკი (87)

69-ე წუთზე კოვტალიუკმა ვერ გამოიყენა პენალტი

დილა: გუგეშაშვილი, ჩადუნელი, სანტოსი, გრიგალაშვილი, სუხიაშვილი, ნონდი, გოგუა, ნონიკაშვილი (კორიფაძე 61), ლემპტი, რიბეირო (ბაბუ 90), მიკოლა კოვტალიუკი

კოლხეთი: კნიგა, ციკოლია, აფხაზავა, ხატიაშვილი, კაბორე, მთივლიშვილი, ჭეჭელაშვილი (მახარაძე 68), პრიჩინენკო, ტყემალაძე, იმნაძე, ფენდერავა (შალიკაშვილი 63)

დილა ევროსაგზურისთვის იბრძვის და ამიტომ აუტსაიდერთან მოგება დაგეგმილი ჰქონდა, თუმცა გაუჭირდა და მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე მოიგო.

ფოთელებს საქმე ცუდად აქვთ – ეროვნული ლიგიდან გავარდნას ვერ ასცდებიან, მაგრამ ბოლო ხავს ებღაუჭებიან და ბოლომდე იბრძვიან. ამიტომაც იყო დილას 3 ქულა რომ გაუჭირდა.

რუსთავი-სიონი 0:3

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 კოშკაძე (12), 0:2 დ.კირკიტაძე (61), 0:3 დათუნაიშვილი (90)

რუსთავი: სეფიაშვილი, კვირკველია, ხუბუტია (გადრანი 32), პაპავა, სილაგაძე, კლიმიაშვილი (თარხნიშვილი 30), კვარაცხელია, თ.კირკიტაძე (ზვიადაძე 84), ქავთარაძე, ლობჯანიძე, ციცქიშვილი

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი, გურეშიძე, ნოზაძე, კოშკაძე (სიხარულია 83),

ხმალაძე, დ.კირკიტაძე, დათუნაიშვილი, გიორბელიძე, უგულავა (მანაგაძე 68), ისიანი (ქიქავა 90)

ქვემოქართლური ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი იყო ორივე გუნდისთვის. რომ იტყვიან 6-ქულიანიო, ისეთი. საბოლოოდ, მოიგო იმ გუნდმა, რომელიც უკეთესად მომზადებული აღმოჩნდა სათამაშოდ.

მატჩის დასაწყისშივე ალექსანდრე კოშკაძე შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. მე-2 ტაიმში კი, დავით კირკიტაძემ რუსთაველ მცველებს უხეში შეცდომა არ აპატია, ხოლო წერტილი გიორგი დათუნაიშვილმა დასვა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	32	22	5	5	58-27	71
2.დინამო	31	19	6	6	63-28	63
3.ტორპედო	31	16	8	7	49-25	56
4.ჩიხურა	31	16	6	9	46-28	54
5.დილა	32	14	11	7	51-39	53
6.ლოკომოტივი	32	9	8	15	35-49	35
7.სიონი	32	8	7	17	35-53	31
8.რუსთავი	32	6	12	14	29-43	30
9.სამტრედია	31	4	9	18	26-61	21
10.კოლხეთი	32	4	8	20	25-64	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲡᲘᲯᲜᲗᲘᲡᲘ



1. ... ხაიამი; 2. ... ჯოხაძე; 3. მაუგლის მეგობარი პითონი; 4. შლამის თევზი; 5. უღრანი (ტყე); 6. დამუხტული ატომი; 7. კათოლიკური წირვა; 8. მკბენარი; 9. მუშა საქონელი; 10. ბატონი (ინგლისურად); 11. მდინარე საფრანგეთში; 12. ბერძნული ანბანის ასო; 13. მტაცებელი ცხოველი; 14. მაგარმერქნიანი ხე; 15. უნგრელი მათემატიკოსი; 16. ყელზე ჩამოსაკიდი ლითონის სამკაული; 17. ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 18. ერთუჯრედიანი ცხოველი; 19. კრიტიკული მდგომარეობა; 20. ცირკის მოედანი; 21. გაუშლელი ყვავილი; 22. ბებერი მუხა; 23. სპექტაკლის გასამართი ადგილი; 24. ნიგერიის ფული; 25. კურკოვანი ხილი; 26. სატურნის თანამგზავრი; 27. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 28. მოჩვენებითი რამ უდაბნოში; 29. „... იტყვის ხალხი?!“; 30. ჭრილობა; 31. ჭუჭრუტანაში შემოსული სხივი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დავა; 2. სქემა; 3. ურანი; 5. ბელუჩი; 6. ლინოტიპი; 9. ლოსაბერიძე; 10. მირანგულა; 11. დილიჟანსი; 14. შოუ; 16. ზენიტი; 18. ჯამე.

თარაზულად: 1. დუნსტი; 4. იმბეცილი; 7. ძელქვა; 8. ნეპტუნი; 12. ისანი; 13. უშქარი; 15. ბაგეტი; 17. ერი; 19. მანსანარესი; 20. ტესლა; 21. ვეტელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პაპაინი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. სვანეთი; 5. ტექტონიკა; 9. ფროიდი; 12. გურზუფი; 14. ლოგიკა; 15. ელია; 17. რეალი; 18. აბიო.

თარაზულად: 6. ჩანახი; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. ზესხო; 11. ჰიდროფობია; 13. ალავერდი; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. ფანდანგო.

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

12 ნოემბრისათვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – ჭეშმარიტებას ეძიებთ და ჩასწვდებით. ეცადეთ, დაიცვათ ზნეობა და მორალი. **ᲙᲣᲠᲝ** – პრობლემების დაძლევაში თვითდარწმუნება და ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. გამოიჩინეთ დიდსულოვნება. **ᲒᲣᲯᲐᲠᲔᲑᲘ** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ეცადეთ, საყვარელ ადამიანს გული არ ატკინოთ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – ოპტიმიზმი და შრომისმოყვარეობა დღის დევიზია. ნუ იზარმაცებთ და მომავლის იმედი გქონდეთ. **ᲚᲝᲛᲘ** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ნებისმიერი წამოწყება თქვენთვის სასურველ შედეგს გამოიღებს. **ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ** – შესაძლოა, ფინანსურად სერიოზულად დაზარალდეთ. დიდი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ** – ცვლილებებს ნუ შეუშინდებით. პირიქით, სასურველიც კია, თქვენს ყოველდღიურობაში კორექტივები შეიტანოთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – დღეს უმართლებთ ბიზნესმენებსა და მეწარმეებს. ნებისმიერი გადაწყვეტილება გაბედულად მიიღეთ. **ᲛᲔᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ემოციების გამოვლენას ერიდეთ. დღეს თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს სრულყოფილად წარმოაჩენთ. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ** – წინააღმდეგობრივი დღეა. მოუთმენლობა, აჩქარება და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება უარყოფით შედეგს გამოიღებს. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – კრიტიკული დღეა. არ გიმართლებთ, რაც თქვენი წინაუხედაობის ბრალია. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – ცივი გონება, კრიტიკული განსჯა დღის დევიზია. რომანტიკული პერიოდი მთავრდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ბერამ და ნანუკა გუდავაძემ ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერეს

მომღერალ ბერა ივანიშვილისა და მისი რჩეულის ნანუკა გუდავაძის ნიშნობა 18 სექტემბერს შედგა.

– და რაც აქამდე იყო ჩემი და შენი, დღეს გახდა ჩვენი, – ასეთი სტატუსით გაახმაურა ბერამ თავისი ნიშნობის ამბავი და საზოგადოებას თავისი რჩეული წარუდგინა.

ნიშნობა ამ უქმეებზე ჯვრისწერით დაგვირგვინდა. ბერამ და ნანუკამ ჯვარი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაიწერეს. ჯვრისწერას პირდაპირ ეთერში ტელეკომპანია პირველი აჩვენებდა.

ჯვრისწერამდე წყვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა- თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო და დალოცა.

ლევან კბილაშვილმა რუსულ „ვოისში“ ქართულად იმღერა

მომღერალმა ლევან კბილაშვილმა, რომელიც ფართო საზოგადოებამ „ჯეოსტარიდან“ გაიცნო, რუსული ვოისში მიიღო მონაწილეობა და ბრმა მოსმენაზე ორი ქართული სიმღერა „ახ ტურფავ, ტურფავ“ და „პატარა გოგო დამეკარგა“ შეასრულა.

რუსული „ვოისის“ მეშვიდე სეზონის ჟიურიში როკმუსიკოსი სერგეი შნუროვი, პროდიუსერი და კომპოზიტორი კონსტანტინე მელაძე, უკრაინელი მომღერალი ანი ლორაკი და რეპერი ბასტი არიან.

ლევანს კონსტანტინე მელაძე შემოუბრუნდა და თავის გუნდში აიყვანა.

– სიმღერებს ვმღერი ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ესპანურად, მაგრამ ახლა იმიტომ ავირჩიე ეს სიმღერა, რომ მინდოდა, თქვენთვის ჩემი საქართველო მეჩვენებინა, – ასე მიმართა მომღერალმა ლევან კბილაშვილმა რუსული „ვოისის“ ჟიურისა და დამსწრე საზოგადოებას.

მიშო სულუხია მეძვირე მომღერალია

– არ ვიცი, რამდენად ღირს ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ ამ ბოლო დროს ის ამბავი, რომ ჩემი ანაზღაურება სხვასთან შედარებით ძვირია, ჩემი კოლეგებისგან ზურგსუკან და კულუარებში განხილვის თემა გახდა, – განაცხადა მომღერალმა მიშო სულუხიამ და საზოგადოებისთვის განმარტება გააკეთა:

– ვისაც სურს, რომ ამის გამო ხაზი გამისვას და თქვას, რომ საიმისო ჯერ არაფერი შემიქმნია, რომ ძვირი ვღირდე, გასაგებია მათი განწყობა, მათიც გასაგებია, ვინც ფიქრობს, რომ პირიქით ასეც უნდა იყოს. მადლობა.

მე კი პირადად გამართლების მიზნით არა, ისედაც ასე ვფიქრობ, რომ რაიმე სკულპტურის შექმნა არ არის საჭირო იმისთვის რომ რიტუალის დროს, რომელსაც მაყურებლისა და მსმენელის ურთიერთობა ჰქვია, რაღაცით გამოგარჩევდეს მათგან, ვინც იაფად ხელმისაწვდომია და დროც თავზე საყრელი აქვს ამ თემაზე სალაპარაკოდ.

დღეს რაც მაქვს, 16 წლიდან ძალიან მინდოდა და მიზანი დავისახე, რომ დღეს ეს ყველაფერი მქონოდა აგურზე აგურის დადებით: მქონოდა კარგი მანქანა და წინა წლის მოდელი მოტო, მეცხოვრა 300 კვ სახლში უზარმაზარი ვერანდით და უფრო დიდი ეზოთი ცხოველებითურთ, რომლის კედლებს ჩემი ხელით მოვხატავდი, მოვლილი მქონოდა მინიმუმ ნახევრი მსოფლიო. ჩემ გარშემო მყოფი მეგობრები ბედნიერები ყოფილიყვნენ და ბოლოს, ჩემივე ცხოვრების შინაარსიდან გამომდინარე, ადამიანებისგან სიყვარულითა და ინტერესით სავსე თვალები მიმეღო, მაგრამ ახლა უფრო მეტი მოთხოვნები მაქვს, ვთვლი, რომ მეტი ფრთების გაშლაა საჭირო, უფრო მეტი სიყვარულის ჩადენის დროა, ის ხალხიც უფრო ბედნიერი მჭირდება ჩემ გარშემო, ვინც მიყვარს და დროს ვუთმობ, ამისთვის კი უფრო მეტი ფინანსებია საჭირო.

ამიტომ მაცადეთ საკუთარი თავის ფასის რეგულირება, როგორმე დავადგენ ტარიფებს თვითონ.

ნუცა ბუზალაძემ ოცნება აიხდინა და სახლი იყიდა

მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ ოცნება აიხდინა და სახლი იყიდა. როგორც მომღერალმა განაცხადა, მან წლის დასაწყისში დაისახა მიზნად, რომ სახლი ეყიდა და წლის მიწურულს ამ მიზნის განხორციელება შეძლო:

– ვიყიდე ჩემი, საკუთარი სახლი! იცით, ყოველ ახალ წელს მე ვწერ გეგმას, რომელიც უნდა იყოს შესრულებული წლის ბოლომდე.?მე დღეს შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ 2018 წლის გეგმიდან თით-

ქმის უკვე ყველაფერი შესრულებულია, დარჩა მხოლოდ ალბომი და ვიდეოკლიპი, რომელიც ახალ წლამდე აუცილებლად უნდა მოვასწრო!

2018 წლის გეგმაში არ მეწერა სიყვარული, ყველაზე მთავარი, ჰაჰა, რაც დაუგეგმავად მესტუმრა წელს და მე ღმერთს ამისთვის ყოველდღე მადლობას ვუხდი!

ნამდვილად იღბლიანი ვარ! მისურვეთ წარმატებები, მეგობრებო და მეც გისურვებთ ყველას, ჩემი კეთილისა და ბოროტის მსურველებს, თქვენი ბავშვობის ოცნებებისა და მიზნების ასრულებას!

სოფო კილასონია და მისი სტუდენტები ეროვნული მუზეუმის შიდა ეზოდან გაყარეს

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ხელოვნებათმცოდნე სოფო კილასონია და მისი სტუდენტები სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შიდა ეზოდან დაცვამ გაყარა.

ინფორმაცია ამის შესახებ სოფო კილასონიამ თავად გაავრცელა:

– ეს არის საქართველოს ეროვნული მუზეუმის ცენტრალური შენობის, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის შიდა ეზო. უფრო სივრცე, იმიტომ რომ ხედავთ, რატომაც.

ჰოდა, დღეს დაცვამ არ მომცა საშუალება, ჩემს სტუდენტებთან ერთად 10 წუთი გავჩერებულიყავი ამ სივრცეში. ბილეთებიც გვქონდა. ვიდრე კოლექციებს ნახავდნენ, პატარა შესავალი უნდა გამეკეთებინა. გრძელ სკამზე დავსხედით თუ არა... უფლება არ გაქვსო. დამესივნენ წელთან პისტოლეტჩამოკიდებული ადამიანები.

მაინტერესებს, რატომ? სინამდვილეში ბევრი ძალიან ცუდი რამე მოხდა დღეს, ამ „განდევნის“ პროცესში, მაგრამ, როცა ნერვიულობას შევწყვეტ და გავარკვევ, თუ რატომ მოხდა ასე, მერე გადავწყვეტ, დავწერო თუ არა დეტალურად. ახლა უბრალოდ მაინტერესებს, ჩემი მუზეუმის შიდა ეზოში რატომ არ მაქვს დგომის ან ჯდომის უფლება? რომელი ბრძანება დგას თანამედროვე მუზეუმის იდეაზე მაღლა? ველი საჯარო პასუხს, იმიტომ რომ სტუდენტებმაც წაიკითხონ, თუ რატომ გამოგვყარეს და არ მოგვცეს საშუალება, ხელოვნებაზე გველაპარაკა.

სოფოს განცხადებას ეროვნული მუზეუმი ასე გამოეხმაურა:

– სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საზოგადოებრივ სივრცეებში დამთვალიერებელი ჩვეულებრივ შეუფერხებლად გადაადგილდება. როგორც ჩანს, გაუგებრობა მოხდა და გავარკვევთ აღნიშნულ საკითხს. ბოდიშს გიხდით შექმნილი უხერხულობისთვის.

ფოთის თეატრში დაშავებული ვასილ ჭითანავა გარდაიცვალა

ფოთის სახელმწიფო თეატრში ლიფტის ჩამოვარდნის შედეგად დაშავებული ვასილ ჭითანავა გარდაიცვალა.

უბედური შემთხვევა ფოთის თეატრში მისი საზეიმო გახსნიდან მალევე მოხდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სიმაღლიდან ვარდნის შედეგად ვასილ ჭითანავამ მიიღო ხერხემლის წელის დახურული ტრავმა, ზურგის ტვინის კომპრესია, ქვედა პარაპლეგია, მენჯის ღრუს ორგანოების მოშლა და ქვედა კიდურებში მგრძნობელობა დაკარგა.



მის დასახმარებლად ფოთის თეატრმა საქველმოქმედო სპექტაკლიც ითამაშა და მთელი თანხა დაზარალებული თანამშრომლის ანგარიშზე გადარიცხა.

კინოთეატრი „რუსთაველი“ იყიდება

კინოთეატრი „რუსთაველი“ იყიდება. ინფორმაცია ამის შესახებ რეჟისორმა რუსუდან გლურჯიძემ გაავრცელა:

– სოს! ახლა რუსთაველსაც გვართმევენ! ეს მაინც გააპროტესტეთ! აღარაა საშველი!

კინო, თეატრი და წიგნების მაღაზია არ გვჭირდება, მარტო რესტორანი და სასტუმრო არაბებისა და რუსებისთვის! ყიდიან!

მცხეთის აკლდამის გადახურვა ნადგურდება

მცხეთის აკლდამა გვიანდელი ანტიკური ხანის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლია, რომელიც მცხეთის რკინიგზის სადგურთან არის აღმოჩენილი.

ერთსენაკიანი, სწორკუთხა ნაგებობა ქვატეხილით არის აგებული და 1951 წელს გაითხარა.

აკლდამა კრამიტით არის გადახურული და მისი მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება:

კახა ხიმშიაშვილი:

– ყოველ წელს უფრო და უფრო დაზიანებული მხვდება მცხეთის აკლდამის კრამიტის გადახურვა. ახლა ასეთ დღეში დამხვდა.

კინომხატვარი გია ლაფერაძე გარდაიცვალა



კინომხატვარი გია ლაფერაძე 68 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„საფეხური“, „ჩიორა“, „არის ასეთი ქვეყანა“, „აქ თენდება“, „ნათლისღება“, „ვინ არის მეოთხე“, „მტერი ჩემი, ძმა ჩემი“ – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებზეც მხატვარმა გია ლაფერაძემ იმუშავა.

სამწუხარო ინფორმაცია რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ გაავრცელა:

– გარდაიცვალა ქართული კინოს შესანიშნავი წარმომადგენელი, კინომხატვარი, მეგობარი, მამა, გულიანი კაცი – გია ლაფერაძე. ძალიან დაგვწყვიტე გული... მშვიდობით, გია.

გია ლაფერაძეს სამშაბათს, 13 ნოემბერს დაკრძალავენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

სილამაზის დედოფალი ადამიანის გატაცებისთვის ციხეში აღმოჩნდა

თურქ მოდელს, რომელიც 2016 წელს კონკურს „ევრაზიის დედოფლის“ გამარჯვებული გახდა, 13 წლით პატიმრობა მიესაჯა.

25 წლის სიბელ დემირალპი და მისი თანამზრახველები დამნაშავედ ცნეს ადამიანის გატაცებაში, ფულის წართმევასა და საკრედიტო ბარათების გამოყენების დროს დარღვევებში.

ყოფილი სილამაზის დედოფალი საიუველირო მაღაზიის მფლობელის განცხადების საფუძველზე დააპატიმრეს, რომელმაც ის ფულის გამოძალვაში დაადანაშაულა. მისი თქმით, მათ ერთმანეთი ინტერნეტში გაიცნეს. გოგონამ ის სადილზე მიიწვია, მაგრამ იქ მისულს ნამდვილი ჩასაფრება დახვდა. გოგონას მიერ მითითებულ მისამართზე იუველირს ხუთი მამაკაცი ელოდებოდა. მათ ის ძალის გამოყენებით გააშიშვლეს, სურათები გადაუღეს და, თუ ფულს არ გადაუხდიდა, მათი გამოქვეყნებით დაემუქრნენ. ის იძულებული გახდა, საკრედიტო ბარათიდან მოეხსნა და მათთვის გადაეცა 250 ათასი ლირა.

სასამართლო დარბაზში დემირალპი ატირდა და დანაშაული აღიარა. მისი ადვოკატის თქმით, ის დანაშაულში მონაწილეობას ნანობს.

„მაკდონალდსის“ ბურგერში ადამიანის კბილი აღმოაჩინეს

იაპონიის ისიკავას პრეფექტურის ქალაქ კანაძავაში „მაკდონალდსის“ სენდვიჩში ადამიანის კბილის ფრაგმენტი აღმოაჩინეს.

„მაკდონალდსის“ ერთ-ერთ რესტორანში შესულმა მომხმარებელმა იქ შეძენილ „მაკმაფინში“, რომელიც ღორის ხორცისა და კვერცხისგან შედგება, უცნაური საგანი აღმოაჩინა. მან მის ჭამაზე უარი განაცხადა და მისი შემოწმება მოითხოვა.

ქალაქის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში სენდვიჩის შიგთავსი შეისწავლეს და მასში სამი ოთხიდან რვა მილიმეტრამდე სიგრძის უცხო სხეული აღმოაჩინეს. სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ისინი ადამიანის კბილის ნამტვრევები იყო.

„მაკდონალდსის“ იაპონიის განყოფილებამ აიტის პრეფექტურაში მდებარე ფაბრიკის, სადაც „მაკმაფინის“ ფუნთუშების შეფუთვა ხდება და ღორის ხორცის მომწოდებელი ამერიკული კომპანიის შემოწმება მოაწყო, თუმცა კბილების წარმომავლობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ათიათასობით რვაფეხას გამოჩეკა ვიდეოზე დააფიქსირეს



ამერიკის ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის ოკეანორიუმის თანამშრომელმა ვიდეოზე გადაიღო რვაფეხას ათასობით ნაშიერის გამოჩეკა.

მეცნიერ დევინ დიუმონის თქმით, ის თავდაპირველად ვერ მიხვდა, თუ რა თეთრი ფერის წერტილები გაჩნდა აკვარიუმში, სადაც წინა საღამოს ერთადერთი რვაფეხა, ოქტავია იმყოფებოდა. როდესაც მას „პანიკამ“ გაუარა, ახლად გამოჩეკილი რვაფეხების დაჭერასა და მათ სათლებში მოთავსებას შეუდგა. რვაფეხას ლიფსიტების გამოჩეკა გრძელდება. მათმა რიცხვმა უკვე რამდენიმე ათეულ ათასს გადააჭარბა.

ოკეანორიუმის თანამშრომლებმა მანამდე არ იცოდნენ, თუ რომელი სქესის იყო მათი რვაფეხა. მათ გადაწყვიტეს, ლიფსიტები ველურ ბუნებაში გაუშვან, ვინაიდან მათი აკვარიუმში გადარჩენის შანსი უკიდურესად მცირეა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7146	ევრო — 3.0800
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5325	100 რუსული რუბლი — 4.0430

ამინდის პროგნოზი 12 ნოემბრისთვის

ლაშა ტალახაძის ახალი მსოფლიო და ახალი რეკორდები

აშხაბადში ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე ლაშა ტალახაძემ (+109 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, პლანეტის ჩემპიონის ტიტული მიჯრით მესამედ მოიგო. ლაშამ ორჭიდის ჯამში 474 კილოგრამი დაძლია და მსოფლიოს დაამყარა. პლუს ორივე დისციპლინაში ახლა მისი შედეგი იქნება უმაღლესი.

ატაცში, სანამ ფავორიტი ტალახაძე ჩაერთვებოდა საქმეში, ბრწყინვალედ იასპარეზა ირაკლი თურმანიძემ. ტრავმის მერე დაბრუნებულმა ათლეტმა სამივე ცდა დაძლია – 195, 200, 203 და მესამე შედეგი აღმოჩნდა და თურმანიძემ მცირე ბრინჯაო დაისაკუთრა. სამწუხაროდ, ირაკლი თურმანიძემ ფეხის ტრავმის გამო აკვრაში მონაწილეობა ვერ მიიღო. არადა, კიდევ შეიძლებოდა მედლის მოპოვება.

როგორც გითხარით, ტალახაძე ყველაზე გვიან ჩაება შეჯიბრებაში. მან ძალიან იოლად აიტაცა 207 კილოგრამი. შემდეგ მსოფლიოს რეკორდზე მივიდა – 212 კილოგრამი აიტაცა, ბოლო კი, უკვე თავისივე რეკორდი გააუმჯობესა – 217 კილო.

ტალახაძემ მეორე დისციპლინა 245 კილოგრამის აკვრით დაიწყო. მეორე ცდაზე კი მან 7 კილოგრამით მეტი შეუკვეთა და 252 კილოც დაძლია. ესეც მსოფლიოს ახალი რეკორდი, მაგრამ ჩვენებური ამას არ დაჯერდა, მწვრთნელ გიორგი ასანიძესთან კონსულტაციის შემდეგ ლაშამ მესამე ცდაზე 257 კილო შეუკვეთა და ისიც თავისუფლად აწია.

ლაშა ტალახაძე:

– კიდევ ერთმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ჩაიარა. ზედიზედ მესამედ მოვახერხე ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. განსაკუთრებით გამახარა ირაკლი თურმანიძის ბრინჯაოს მედალმა და მჯერა, რომ არა ტრავმა, ის კვლავ შეძლებდა ორჭიდის ჯამში მედლის მოპოვებას. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს მწვრთნელებს, ექიმს, ფედერაციას, სპონსორებს და რაც მთავარია ყველაზე დიდი მადლობა თქვენ, ჩემო გულშემატკივრებო. მინდა იცოდეთ, რომ ვარ და ვიქნები ჩემი ქვეყნის ერთგული სამუდამოდ. შევეცდები სამომავლოდაც გაგახაროთ.

ლაშა ტალახაძე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა. პირველად მან 2015 წელს ჰიუსტონში მოიგო ტიტული +105 წონით კატეგორიაში. 2017 წელს ის მსოფლიოს ჩემპიონი ანაჰაიმში გახდა. წონებში ცვლილებების განხორციელების შემდეგ კი მან უკვე აშხაბადში მოიგო პირველობა. სწორედ წონებში განხორციელებული ცვლილებების გამო მოუწია ახალი რეკორდების დაფიქსირება, თორემ მანამდე მისი რეკორდი უფრო მეტი იყო – 220 ატაცში და 477 ორჭიდში.

შეგახსენებთ, რომ 89 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი რევაზ დავითაძემ მოიპოვა, ხოლო საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილზე გავიდა.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ბრიტანელს 40 წელი კიბის შიში ტანჯავდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა რიჩარდ სმიტმა განაცხადა, რომ 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე მას კიბის შიში ტანჯავდა.

სმიტმა აღიარა, რომ კიბის შიში მას შემდეგ დასჩემდა, რაც სამი წლის ასაკში კიბიდან ჩამოვარდა. რვა წლის ასაკში, როდესაც სასკოლო ექსკურსიაზე ძველ ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა, მიხვდა, რომ ეს სერიოზული ფობია იყო.

– ძველი ციხე-სიმაგრეები მიყვარდა, მაგრამ ამ ექსკურსიის დროს მივხვდი, რომ საფეხურებზე ასვლას ვერ ვბედავდი, ფეხის აწევას ვერ ვახერხებდი და ძალიან ვნერვიულობდი, – განაცხადა 52 წლის სმიტმა.

თანაკლასელები მისი შიშის გამო დასცინოდნენ, ხოლო თავად გაკვეთილებს აცდენდა, თუ კაბინეტში მოსახვედრად კიბეზე ასვლა სჭირდებოდა. ის ფიზკულტურის გაკვეთილებზე შვედურ კედელსა და ცურვაში ვარჯიშს თავს არიდებდა. 15 წლის ასაკში სიმპათიურმა გოგონამ წყალსაქაჩ კოშკში განმარტოვება შესთავაზა, მაგრამ მან ზევით ასვლა ვერ შეძლო.

მრავალი წლის შემდეგ მან იმის გამო, რომ თავისი შეყვარებულის კეტრინისთვის ხელი ეთხოვა, ეკლესიის სამრეკლოზე ასვლა შეძლო. ის გარკვეული დროის განმავლობაში თავის ფობიას მალავდა, მაგრამ, საკმარისი იყო, ის და კეტრინი დასასვენებლად წასულიყვნენ, რომ კეტრინმა აღმოაჩინა, თუ როგორ არაკომფორტულად გრძნობდა მისი მეუღლე თავს ქალაქში სეირნობის დროს და ყველაფერს მიხვდა.

მხოლოდ ზრდასრულ ასაკში მიმართა სმიტმა დახმარებისთვის ფსიქოლოგს. მას აკროფობია – სიმაღლის შიში და კლიმაკოფობია – კიბის შიში დაუდგინეს. საბოლოოდ ფსიქოლოგთან ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ სმიტმა თავისი ფობიების დაძლევა მოახერხა და ახლა უკვე სიამოვნებით ტკბება სიმაღლიდან ქალაქის ხედებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ქვეყნის მეთაური თანაშემწეს ეუბნება:

– ადრე თურმე იაპონელებს მოხუცები მთაზე აჰყავდათ და იქ ტოვებდნენ...

– ბატონო პრემიერო, საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით სხვა წინადადება არ გაქვთ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როგორ შეიცვალა დრო...

– რაზე მეუბნები?

– ადრე მეზობელს ვაშლებს ვპარავდით, ახლა კი – ვაი-ფაის...

•••

ქუჩაში ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, შეიძლება, გაგაცილოთ?

– კარგი, მხოლოდ უხმაუროდ და თითის წვერებზე, თორემ ჩემს მშობლებს ფხიზელი ძილი აქვთ!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– დენის გამომრთველი გაფუჭდა, გააკეთე.

– მე რა, ელექტრიკოსი ვარ?

მომდევნო დღეს. ცოლი ქმარს ეუბნება:

– ონკანს გასდის, გააკეთე.

– მე რა, სანტექნიკოსი ვარ?

მეორე დღეს სახლში დაბრუნებული ქმარი ხედავს, რომ ჩამრთველი გაკეთებულია, ონკანი აღარ წვეთავს და ცოლს ეკითხება:

– ვინ გააკეთა?

– ჩვენმა მეზობელმა გივიმ.

– მერე, სამაგიეროდ რა მოითხოვა?

– მიმღერე ან მომეციო.

– მერე?

– რა მერე, რომელი მომღერალი მე ვარ?

•••

მამამ შვილი გვერდით მოისვა და ეუბნება:

– შვილო, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და დროა, სექსზე გელაპარაკო. მითხარი, მეგობარი გოგონა გყავს?

– მყავს, მამა.

– ძალიან კარგი, ჰოდა, ახლა კი – სექსზე. მითხარი, სიმპათიური დაქალი თუ ჰყავს?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ქურდი ზვიგენებით სავსე წყალში გადახტა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ ბრისბენში ქურდი ზვიგენებით სავსე მდინარეში გადახტა, რათა თავი პატიმრობიდან ეხსნა.

ბოროტმოქმედი აუდის მარკის ავტომობილით ქალაქის ქუჩებში დიდი სიჩქარით მიქროდა და ცდილობდა, მდევრისთვის თავი დაეღწია. მდინარეზე გადებულ ხიდთან მას გზა პოლიციელების მიერ აღმართულმა წინაღობამ გადაუღობა. მან დამუხრუჭება ვერ მოასწრო და წინაღობას შეასკდა. მანქანამ მეორე ნაპირამდე მიაღწია და წინა ბორბალი დაკარგა.



მამაკაცი ავტომობილიდან გადმოხტა და მდინარისკენ გაიქცა. ის წყალში გადახტა და დინებას ქვევით დაუყვა. მან დაახლოებით ერთი კილომეტრის გაცურვა შეძლო ისე, რომ მტაცებელ თევზებს არ გადაჰყრია, შემდეგ კი წყლიდან ხელებაწეული გამოვიდა და ნაპირზე მყოფ პოლიციელებს ჩაჰბარდა.

სელაპებმა მეთევზე შეაშინეს

შოტლანდიაში აგრესიულად განწყობილი სელაპების გუნდმა მეთევზე აიძულა, კლდეზე



ამძვრალიყო და ასე გადაერჩინა თავი მათი შემოტევისგან. მოგვიანებით მას სანაპირო დაცვამ აღმოუჩინა დახმარება.

მეთევზე პლაჟზე მიდიოდა და მოულოდნელად სელაპებს გადააწყდა. უცებ ზღვის ცხოველებმა აგრესიულობა გამოავლინეს. ის იძულებული გახდა, გაქცევით ეშველა საკუთარი თავისთვის. შეშინებული მამაკაცი კლდეზე აცოცდა, თუმცა ბოლომდე ასვლა ვერ შეძლო და ერთ ადგილას გაიჭედა. ამის გამო ის იძულებული გახდა, სამაშველო სამსახურში დაერეკა.

მაშველები შემთხვევის ადგილზე ოც წუთში მივიდნენ, მაგრამ მათ კიდევ ორი საათი დასჭირდათ მის კლდიდან ჩამოსაყვანად. მეთევზე ნავში ჩასვეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ამჟამადაც მოყინვისა და გადაციებისგან მკურნალობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 5. ინგლისელი პოეტი; 6. ხელოვნური ბოჭკო; 7. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 10. დაუკოდავი ღორი; 12. ბულგარელი მათემატიკოსი; 13. ძველინდური სამწერლო ენა; 18. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 19. მშრალ კედელზე წყლიანი საღებავით შესრულებული ნახატი; 20. მუსიკალური საკრავი (სპილენძის თეფშები); 21. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 22. ყურის ექიმი.

შვეულად: 1. ერთგვარი კანფეტი; 2. უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი; 3. რელიეფის თავისებური ფორმები; 4. პრესაში გამოსაქვეყნებლად ცნობილ პიროვნებასთან ჟურნალისტის საუბარი; 8. შვედეთის კანონთა კრებული ძველად; 9. ზებუნებრივი ძალების რწმენის მქონე პირი; 11. თავად-აზნაურთა ტიტული დასავლეთ ევროპაში; 14. ერთმანეთში ჩაწნული ყვავილები; 15. ფულის გამომძალველი; 16. ავგაროზი; 17. შექსპირის ტრაგედია.

შეადგინა ოლივერ კოხიამ